საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 16 დეკემბერი. 2017 წ. №254 (8391), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უდიდესი ღვაწლი დედაუნივერსიტეტისა!

საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერთან, დედაქალაქის მერთან, ხელისუფლების და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების აღდგენის ღონისძიებას დაესწრო.

გიორგი მარგველაშვილი, მეუფე შიო, გიორგი კვირიკაშვილი

გიორგი მარგველაშვილმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენას საჭირო, მნიშვნელოვანი და ემოციურად დატვირთული გადაწყვეტილება უწოდა და უნივერსიტეტის დაარსების დღე მიულოცა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ისევე როგორც უნივერსიტეტი, მომავალ წელს პირველი ქართული რეს-პუბლიკაც 100 წლის გახდება და ამ თარიღზე ფიქრისას მნიშვნელოვანია, დავინახოთ ჩვენი წინაპრების ადეკვატურობა რეალურ პერიოდთან მიმართებაში, რადგან ისინი გამოყოფდნენ იმ ძირითად, განსაკუთრებულსა და მამოძრავებელ იდეებს, რომელიც კაცობრიობისათვის იყო მთავარი და ფუნქციური.

პრეზიდენტის განცხადებით, ასეთი პროგრესული გადაწყვეტილება იყო სწორედ ქვეყნის, სახელმწიფოს რეს-პუბლიკის ფორმით დაარსება და პირველი ქართული უნივერსიტეტის დაფუძნება.

„ჩვენი წინაპრების უნარმა, იყო ადეკვატური და პროგრესული, მისცა სტიმული და შესაძლებლობა, ჩვენს ქვეყანას ეპასუხა მნიშვნელოვანი და დიდი გამოწვევებისათვის“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, ამ გამოწვევების გამკლავებასა და დაძლევაში, ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაში განსაკუთრებული ფუნქცია შეასრულა ქართულმა უნივერსიტეტმა და ფუნდამენტი ჩაეყარა იმ პატრიოტულ სულისკვეთებას, რომელსაც უნდა მოეტანა ახალი დამოუკიდებლობის აღდგენა, შეექმნა ახალი თაობა, რომელიც იტვირთავდა ქვეყნის მომავალ მართვას, აქედან ანათებდა იმედი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

„როცა ვსაუბრობთ იმ ღვაწლზე, რომლითაც შეიქმნა ახალი სახელმწიფო, უდიდესი ინტელექტუალური, ემოციური და პატრიოტული წვლილი, სწორედ უნივერსიტეტზე მოდის“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრობა ხელმოწერით დაადასტურა. **თსუ-ში ასევე გაიმართა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ დაფუძნებისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 1917 წელს დაარსებული ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრებისა და მმართველი ორგანოების ოქმები, საზოგადოების წევრთა სიები, შემოწირულობის დავთრები, დებულება, ამ საზოგადოების წევრებთან ფოტოპორტრეტები და ახლად დაარსებული უნივერსიტეტის ბეჭედი.**

უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო გაცილებით უფრო დიდი ღირებულება და ფასეულობა, ვიდრე ეს არის მხოლოდ საგანმანათლებლო კერა — ეს იყო ყოველთვის კულტურის კერა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი იმ ურთულესი წლების განმავლობაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ დაფუძნების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომლითაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები იწყება.

პრემიერმა აღნიშნა, რომ როგორც 100 წლის წინ დაარსდა, წარმოიქმნა უნივერსიტეტის იდეა და ამ იდეის გარშემო გაერთიანდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, დღეს ხდება ამ იდეის განახლება და იქმნება საზოგადოება, რომელიც ისევე დაუდებს დასაბამს დიდი იდეის განვითარებას, როგორც ეს მოხდა 100 წლის წინ.

„მე ამის დიდი იმედი მაქვს. ჩემთვის უდიდესი პატივია, ვუხელმძღვანელო სახელმწიფო საიუბილეო კომისიას, რომელიც მოამზადებს ამ ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო პირობებს. ეს ღონისძიებები ჩატარდება არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. დღეს ჩვენ ყველას გვეამაყება ყოფნა იმ უნივერსიტეტში, რომელმაც ძალიან ბევრი პიროვნება გაზარდა, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიტანეს და რომელთაგან თითოეულის სახელი ჩვენ გეამაყება. ჩვენ საფუძველს ვუყრით საქმეს, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების 100 წლის განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთ სასიქადულო მამულიშვილს გაუზრდის ჩვენს ქვეყანას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა სახელმწიფოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თსუ-ს მეორე კორპუსი აღდგება; ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET).

„ვფიქრობ, ეს იქნება კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი ჩვენი უნივერსიტეტის მომავლის შესაქმნელად. დარწმუნებული ვარ, ჩვენს უნივერსიტეტში შენარჩუნდება ყველა ის მნიშვნელოვანი დარგი; ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების საფუძველი კიდევ უფრო გამყარდება, მაგრამ ასევე განვითარდება ძალიან ბევრი ახალი მიმართულება. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო პროგრესის წყარო და თუ საიდანმე ქროდა სიახლის ქარი, ეს ყოველთვის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კიდევ ერთელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და ამ ძალიან მნიშვნელოვანი საიუბილეო ღონისძიებების დასაწყისს“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ხელი მოაწერა დოკუმენტს, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ შექმნის შესახებ. საზოგადოება, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას ისახავს მიზნად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს აერთიანებს და მას ცნობილი მეცნიერი ზაალ კოკაია ხელმძღვანელობს.

გაითვალისწინეთ ეს სიტყვები „ბედნიერი ერის“ შვილებო, ნაცებო და ქოცებო!!!

ბევრი საგულისხმო რამის გაგება გახდა შესაძლებელი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 14 დეკემბრის საერთაშორისო პრეს-კონფერენციაზე, რომელზეც მასმედიის სხვადასხვა საშუალებების 1640 ჟურნალისტი იყო წარმოდგენილი.

უამრავ ნათქვამს შორის ერთ-ერთი, ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეული და გასათვალისწინებელი გახლდათ. საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ვლადიმერ პუტინს „წამოსცდა“: **სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, დადის და გაიძახის — უკრაინელი ვარო. ნუთუ უკრაინაში ნაღდი უკრაინელები აღარ არიან? ყოველივე ეს ფურთხის ტოლფასია საქართველოსა და უკრაინისთვის...**

* * *

ეს კაცი, ანუ რუსეთის „სანქცირებული“ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თვით დასავლეთის მიერ ხუთი წელიწადია, მსოფლიოს №1 პოლიტიკოსად არის აღიარებული!

საკრებულომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა

დედაქალაქის მომავალი წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტს 38-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 2 კი წინააღმდეგი იყო. სულ კენჭისყრაში 40 დეპუტატი მონაწილეობდა. ბიუჯეტის დამტკიცების პროცესს ოპოზიცია არ დასწრებია.

თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა 861 მილიონ ლარს შეადგენს და ის შესაძლოა, მომავალ წელს კიდევ გაიზარდოს. როგორც სხდომაზე ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, ბიუჯეტი გაიზრდება 14 მილიონლარიანი ტრანსფერისა და 8 მილიონი ლარის ეკონომიების ხარჯზე.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი სომხეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს **პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა სომხეთის რესპუბლიკის ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ რუბენ სადოიანთან.**

საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობას. მხარეები მიესალმნენ ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მზარდ დინამიკას და აღნიშნეს, რომ ამაზე მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტებიც მეტყველებს. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც 25-26 დეკემბერს შედგება და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვიზიტს სომხეთის რესპუბლიკაში, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება.

გიორგი კვირიკაშვილმა რუბენ სადოიანს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტს გააუარესებს?!

საკონსტიტუციო **კომისიის წევრები — ვახტანგ ხმალაძე, ეკა გიგაური, ვახტანგ ნაცვლიშვილი, არნოლდ სტეფანიანი და ანა ფირცხალაშვილი იუსტიციის სამინისტროს საკონსტიტუციო ინიციატივაზე, რომელიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას განსაზღვრავს, განცხადებას ავრცელებენ.**

ისინი მიიჩნევენ, რომ იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული ინიციატივა ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტის გაურესებას ითვალისწინებს.

„გვინდა, გამოვეხმაუროთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტის გაურესებას ითვალისწინებს.

საკონსტიტუციო კომისია მუშაობის დასაწყისშივე შეთანხმდა, რომ არც ერთი უფლების კონსტიტუციური დაცვის სტანდარტი არ გაუარესდებოდა. გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმები, კომისიის მუშაობის შედეგად, არათუ შენარჩუნდა, არამედ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს საკითხი ერთ-ერთი იყო მათ შორის, რომელზეც კომისიის წევრებმა კონსენსუსს მიაღწიეს.

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო კომისია ოთხი თვის მანძილზე მუშაობდა საკონსტიტუციო ცვლილებებზე. კომისიის არც ერთ განხილვაზე ჩვენ არ მოგვისმენია იუსტიციის სამინისტროს პოზიცია ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კონსტიტუციური ჩანაწერების შესახებ. საგულისხმოა, რომ კომისიის მიერ შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების ჩანაწერების შესახებ არც ერთი შენიშვნა და რეკომენდაცია არ გამოუთქვამს ვენეციის კომისიას. გარდა ამისა, ეს ცვლილება არ ყოფილა სახალხო განხილვაზე გამოტანილი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს პარლამენტი ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების კონსტიტუციაში ასახვის მიმართულებით მუშაობს. შესაბამისად, მოვუწოდებთ პარლამენტს, არ გასცდეს ამ ამოცანას და არ შეცვალოს იმ მუხლების რედაქცია, რომელიც ინტენსიური მსჯელობისა და განხილვის შედეგად კომისიამ მიიღო“ — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ინფორმაციის გასაჯაროებაზე უარის თქმის ოთხი საფუძველი...

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციაში ინფორმაციის გასაჯაროებაზე უარის თქმის ოთხი საფუძველი რჩება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას, კომერციულ, პროფესიულ და პირად საიდუმლოებას ეხება. ირაკლი კობახიძის განცხადებით, საკითხზე გუშინ საღამოს იუსტიციის წარმომადგენლებთან განხილვები შედგა და მხარეები გარკვეულ პოზიციაზე შეჯერდნენ.

„იუსტიციის სამინისტროს პირვანდელი შემოთავაზება იყო ის, რომ პირდაპირ სამწვეროვანი ტესტი შემოგვეღო, რაც იმას გულისხმობს, რომ ევროკონვენციის სტანდარტი გადმოდის, თუმცა ამით ფართოვდება ჩარევის საფუძველი, რაც ჩემთვის მიუღებელია. ამ დონეზე ჩარევის გაფართოვება მიუღებელია ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი კოლეგების დიდი ნაწილისთვის. აქედან გამომდინარე, ოთხი პირობა რჩება, რომელიც ინფორმაციის გასაჯაროებას გამორიცხავს და ეს არის სახელმწიფო საიდუმლოება, კომერციული, პროფესიული და პირადი საიდუმლოება. ეს ოთხი კრიტერიუმი ძალაში რჩება და უფრო მეტიც, კონკრეტდება სახელმწიფო საიდუმლოებად დოკუმენტის აღიარების პირობები და საფუძვლები“, — განაცხადა კობახიძემ.

მომსახურების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი მარიანა მორგოშია იქნება

შინაგან **საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე მარიანა მორგოშია დაინიშნა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი პირადად წარუდგინა.

მარიანა მორგოშია 2017 წლის აპრილიდან დღემდე სსიპ-ის — „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი იყო, ხოლო 2014-2017 წლებში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობდა. იგი 2013-2014 წლებში ასსეკო ჯგუფის ადამიანური

რესურსების მართვის ელექტრონული და პროცესების ავტომატიზაციის მიმართულების უფროსად მუშაობდა, 2011—2014 წლებში — სამშენებლო კომპანია NCC-ის ადმინისტრაციული დირექტორის თანამდებობას იკავებდა, 2008—2011 წლებში კი სს ბანკი „რესპუბლიკა-Societe Generale Group“-ის პროექტების მენეჯერი იყო.

მარიანა მორგოშიამ დაამთავრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, PMC პროფესიონალური პროგრამა, პროექტების მართვის მიმართულებით და მიღებული აქვს სამაგისტრო სერტიფიკატი. 2007 წელს მან დაამთავრა კავკასიის ბიზნესის სკოლა, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, მენეჯმენტის განხრით.

მარიანა მორგოშია 2000-2003 წლებში DFID მენეჯმენტის სკოლაში სწავლობდა, ხოლო 2002 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი (ინგლისური ენა), ბაკალავრის კვალიფიკაციით.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის განცხადება

გვინდა, გამოვეხმაუროთ ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიერ გავრცელებულ განცხადებას ბელგიის სამეფოს დედაქალაქში წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ოფიციალური ბრიუსელი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო

თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ საზღვრებში. შესაბამისად, არაღიარებული ე.წ. რესპუბლიკის მხრიდან ბრიუსელში წარმომადგენლობის გახსნა არალეგიტიმურია და არ შეიძლება ჰქონდეს ოფიციალური სახე.

მსგავსი ინფორმაცია დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უკვე გაავრცელეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მიმართებაში. განცხადებაში ასახული ფაქტები არ შეესაბამებოდა სიმართლეს. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპალატასა და ბელგიის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან. მათთან კომუნიკაციით ვამოწმებთ არაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და თანამშრომლობის ფარგლებში განვაგრძობთ მსგავსი ფაქტების პრევენციაზე მუშაობას. ასევე, მოვითხოვთ საერთაშორისო პარტნიორებისგან, კიდევ ერთხელ მოუწოდონ წევრ კომპანიებს სიფრთხილისკენ, რათა არ მოხდეს მსგავსი არალეგიტიმური ქმედებების ხელშეწყობა.

კახი კალაძე: არ მივცემ უფლებას პარტიულ ტელევიზიას, ხალხი შეცდომაში შეიყვანოს

თბილისის **მერი კახი კალაძე სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვას ავრცელებს. მისი თქმით, ის არ მისცემს საშუალებას პარტიულ ტელევიზიას, რომ მოქალაქეები შეცდომაში შეიყვანოს.**

თბილისის მერმა ნაძვის ხის განათებასთან დაკავშირებით გამოთქმულ ბრალდებებს, რომ ნაძვის ხე საარჩევნო სლოგანით და „ქართული ოცნების“ ფერებშია განათებული, ტყუილი უწოდა და განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, სისულელეები მოიგონოს ახალ წელთან დაკავშირებით.

როგორც კალაძე აცხადებს, მოსახლეობა პარტიულმა ტელევიზიამ შეცდომაში შეიყვანა, როდესაც ქვეყნის მთავარ ნაძვის ხედ სწორედ თავისუფლების მოედანზე არსებული ნაძვის ხე მოიხსენია. კალაძის განცხადებით, მთავარი ნაძვის ხე სწორედ პარლამენტის წინ მონტაჟდება. რაც შეეხება საკრებულოსთან დამონტაჟებულ ნაძვის ხის სლოგანს, როგორც კალაძე აცხადებს, სიცოცხლით სავსე ქალაქი მხოლოდ სლოგანი არ არის, მისი გულწრფელი სურვილი და მიზანია, რომ დედაქალაქი სიცოცხლით, სითბოთი და სიყვარულით აივსოს.

„ჩვენი ქალაქი რომ გახდეს სიცოცხლით სავსე, მგონი ამის წინააღმდეგი ყველაზე მარგინალური პოლიტიკური ჯგუფი, „ნაციონალური მოძრაობაც“ არ იქნება“, — განუცხადა დედაქალაქის მერმა ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერის კახა კალაძის წინასაარჩევნო სლოგანი — „სიცოცხლით სავსე ქალაქი“ — თავისუფლების მოედნის საახალწლო ნაძვის ხის დეკორაციის ნაწილი გახდა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ნაძვის ხე ლურჯი ფერით განათდა და მერის გადაწყვეტილებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. ზოგს ძალიან მოსწონს დეკორაციაც და ნაძვის ხეც, ზოგი კი მას „ოცნების ფერს“ უწოდებს და ახალ მერს არჩევანს უწუნებს. თუმცა ნაძვის ხე, რომელიც კალაძის ვიდეომიმართვაში ჩანდა, თეთრი და ცისფერი ფერებით იყო განათებული, ამასთან კალაძემ განმარტა, რომ მთავარი ნაძვის ხე დამონტაჟდა პარლამენტის წინ და საახალწლო განათება ოფიციალურად 15 დეკემბრისთვის ჩაირთვება.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მოქალაქეების ოპოზიციური ნაწილისთვის მერიის გადაწყვეტილება მიუღებელია. ამბობენ, რომ ჯერ თბილისი სიცოცხლით სავსე არ არის და ამასთან, ახალი წლის სიმბოლო პოლიტიკურ კონტექსტში არ უნდა განიხილებოდეს.

მარიამ თოდაძე

„სიტროენ ჯორჯიასთან“ დაკავშირებით პროცესი ძალიან საჯარო იქნება

„სიტროენ ჯორჯიასთან“ დაკავშირებით, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების შესახებ და პროცესი იქნება ძალიან საჯარო, — ამის შესახებ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხადურმა განაცხადა. მისი განმარტებით, სააგენტოში საჩივარი 12 დეკემბერს შევიდა, 13 დეკემბერს საჩივარი სააგენტომ გადაუგზავნა მხარეებს, რათა მათგანაც მიიღონ ინფორმაცია.

„ჩვენ გავუგზავნეთ წერილი „სიტროენ ჯორჯიას“ და მოვითხოვეთ გარკვეული ინფორმაციის დაზუსტება. ეს სასამართლოს თემას ეხება, ვინაიდან სასამართლოდან მიმდინარეობს განხილვა და გვაინტერესებს. ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების შესახებ და პროცესი იქნება ძალიან საჯარო. მოკვლევა ვერ დაიწყება, სანამ ყველა ინფორმაციას ვერ მივიღებთ. მოკვლევის დაწყებისთვის ერთთვიანი ვადა გვაქვს და თუ მანამდე მივიღეთ ინფორმაცია მოპასუხე მხარეებისგან და თავად „სიტროენ ჯორჯიასგან“, შევეცდებით, უფრო ადრე დავიწყოთ მოკვლევა. პრემიერ-მინისტრთან ამ საკითხზე არ გვქონია საუბარი“, — განაცხადა ხადურმა. კომპანია „სიტროენ ჯორჯია“, რომელიც გია გაჩეჩილაძის სიძეს გიორგი შარაშიძეს ეკუთვნის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უკანონო გადაწყვეტილებას ედავება და კარტელური გარიგებების არსებობაზე საუბრობს.

თოფაძის შვილის კომპანია - ახალი „გაუგებრობა“ პრემიერის და „უცნობის“ დაპირისპირებაში

გიორგი გაჩეჩილაძის სიძის კომპანია **„სიტროენ ჯორჯია“ ტენდერიდან „ჰიუნდაი ავტომ“ მოხსნა, რომელიც გოგი თოფაძის შვილის ირაკლი თოფაძის საკუთრებაა** — ამ სკანდალურ განცხადებას დავების საბჭოს წევრი მამუკა ტუსკაძე აკეთებს. ტუსკაძე ამბობს, რომ სწორედ ამ კომპანიის სასარგებლოდ, ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, ტენდერიდან „სიტროენი“ უკანონოდ მოიხსნა.

„ტენდერი სინამდვილეში მოიგო „ჰიუნდაი ავტომ“, „ჰიუნდაი ავტოს“ მფლობელი, შეგიძლიათ საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ნახოთ, რომ არის ირაკლი თოფაძე. ირაკლი თოფაძე არის ის ცნობილი ირაკლი თოფაძე, გოგი თოფაძის შვილი. აქედან გამომდინარე, ხეჩიკაშვილის კომპანიებიც მონაწილეობდნენ ამ ტენდერშიც, ეს არის „იბერ კომპანი“, რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა და საერთოდ არც განუხილავთ მისი დოკუმენტაცია. ამ შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტრო მართალია იმიტომ, რომ არც კი განუხილავს მაგ კომპანიის დოკუმენტები და შედეგად „ჰიუნდაი ავტო“, რომელიც არის ირაკლი თოფაძის, საერთოდ სხვა ფლანგზე არის ბრძოლა სინამდვილეში და ამ დროს პრემიერ-მინისტრი და მისი მეგობარი დაუპირისპირდნენ თოფაძემ რომ ტენდერი მოიგო იმის გამო ერთმანეთს. შემიძლია ვთქვა ღიად, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდა ინტერესი,“ — აცხადებს მამუკა ტუსკაძე „კურიერთან“ საუბარში.

თოფაძეების პირველი კომენტარი კორუფციულ სკანდალზე

გოგი თოფაძის შვილი ირაკლი თოფაძე კორუფციული სკანდალის და „ჰიუნდაისთან“ კავშირების შესახებ პირველ კომენტარს აკეთებს. როგორც თოფაძემ განაცხადა, მას საერთოდ არ ახსოვს როდის გახდა „ჰიუნდაი ავტოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა შემდეგ გაიხსენა, რომ „ჰიუნდაი ავტოს“ სამეთვალყურეო საბჭოს ფიქტიური თავმჯდომარეობა მეგობარმა, დავით გიორგობიანმა სთხოვა. გოგი თოფაძის შვილი ამბობს, რომ მძიმე ოპერაციის შემდეგ, მას კომპანიის მართვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია და მისი მონაცემებით მინდობილი პირი სარგებლობდა. მისი თქმით, მინდობილობა კომპანიის მფლობელს გადასცა, თუმცა არ ახსოვს როდის.

„არ მახსოვს, ხომ არ გატყუებთ? არ მახსოვს. რომ დავინიშნე მახსოვს, რაღაცაზე მოვაწერე ხელი,“ — აცხადებს თოფაძე. გოგი თოფაძე კი ადასტურებს, რომ „ჰიუნდაის“ დამფუძნებელი მისი ბიზნეს-პარტნიორია, თუმცა კორუფციულ სკანდალთან კავშირს უარყოფს.

„ვერ გავიგე, რა ხდება მანდ, ფაქტი ერთა, რომ არაფერი საერთო ჩვენ ამასთან არ გვაქვს. სააქციოს აქვს უფლება, რომ დანიშნოს გარე პირი თავმჯდომარედ. მაგრამ, 100% მანდ აქვს დათო გიორგობიანს,“ — აცხადებს გოგი თოფაძეს.

◎ ქარიშხალი — ჟიქაში

ახალი ცოცხი კარგად გვის

როცა ადამიანი მნიშვნელოვან თანამდებობაზე ინიშნება, ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა ხოლმე. მის ნაკლს თუ წარმატებას გამადიდებელი შუშით შესცქერიან. ცხადია, ქალაქის ახალი მერიც ამ მხრივ საზოგადოების გაფაციცებულ ყურადღებას იმსახურებს. მეც და ალბათ, ჩემსავით ბევრმა მიაქცია ყურადღება მის ერთ საჯარო გამოსვლას, რომელმაც კითხვის ნიშნები გააჩინა.

ახალმა მერმა მით უფრო უნდა გამოიჩინოს თავი, ვინაიდან მისი წინამორბედი მაინცდამაინც დიდი სიმპატიებით არ სარგებლობდა ხალხში. შტატების გაბერვასაც საყვედურობდნენ ძველ მერს. როგორც ჩანს, ახალმა მერმა ყველაფერი ეს მხედველობაში მიიღო და ოპტიმიზაციას მიჰყო ხელი. პირველი ნაბიჯი ასეთი გახლდათ: მერმა გვაუწყა, 19 კომისია გავაუქმეო. ასეთმა განცხადებამ საზოგადოებაში, სოციალურ ქსელში აშკარა მოწონება დაიმსახურა. ხუმრობა საქმე არ არის 19 კომისია. რამდენი საბიუჯეტო სახსრები დაიზოგება! მაგრამ როგორც იტყვიან, წყალი გადაგვეწურა: გაირკვა, რომ არავითარი სახსრების დაზოგვა არ ივარაუდება, ეს კომისიები საზოგადოებრივ საწყისზე ყოფილა. მერიის თანამშრომლები დამატებით რაღაც საქმეებს აკეთებდნენ მათი ძირითადი ჯამაგირის ხარჯზე. მათი გაუქმებით ვინ რა იხეირა? ვერ გეტყვით, რომ ის 19 კომისია რაიმე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა, ამის შესახებ ინფორმაცია არ გამაჩნია,მაგრამ რადგან არსებობდა, ალბათ აკეთებდნენ რაღაცას. უბრალოდ, გაწეული საქმიანობის თაობაზე ვიღაცის წინაშე ანგარიშვალდებული მაინც ხომ იქნებოდნენ?

თუ რაიმეს გაუქმება სჭირდებოდა, ეს არის ფანტასტიკური მასშტაბები პრემია-დანამატ-ჯილდოებისა! 19 კომისიის გაუქმება კი ჟიქაში ატეხილ ქარიშხალს ჰგავს, თუ გნებავთ, ღია კარების მტვრევას.

ვიდრე ნაბიჯს გადავდგამთ, ალბათ სჯობს წინდაწინ გავიაზროთ ჩვენი განზრახვა. არ მინდა, ზედმეტად კრიტიკული ვიყო ჩვენი ახალი მერის მიმართ ამ მცირე დროში, მით უფრო, რომ მანვე დააანონსა ერთი ფრიად სასარგებლო ღონისძიება. კერძოდ, აღგვითქვა: ყოველ უბანში მინი-სტადიონებს გავხსნითო. საბოლოო ჯამში, როგორც მან აღნიშნა, ასეთი სტადიონი ასზე მეტი გვექნება. ამით ხომ ქუჩას გამოვარიდებთ ბავშვებს! ოცნება კარგია ოცნების წარმომადგენლისთვის. ვნახოთ, შედეგი როგორი ექნება. ეს მინდოდა მეთქვა, სხვა არაფერი. გისურვებთ წარმატებას, ბატონო მერო!

მზია გელენავა

◎ ინვესტიციები

ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი უნდა მიიღოს

საქართველოში ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა, მაგრამ რეალური სექტორი ქვეყანაში მაინც ვერ ვითარდება. ამის მიზეზი ისაა, რომ უცხოური კაპიტალი უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებში იდება. არადა, საწარმოო პროცესის განვითარებისთვის კონკრეტული დარგების წახალისებაა საჭირო.

2017 წლის 9 თვეში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯამურად 1.346 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 2.9%-ით აღემატება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რეინვესტირებული თანხა.

„საქსტატის“ მონაცემებით, მესამე კვარტალში 235.9 მილიონი დოლარის რეინვესტიცია განხორციელდა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 23.2 მილიონი ლარით აღემატება. 2016 წელს მესამე კვარტალში რეინვესტირებული თანხები 212.7 მილიონ დოლარს შეადგენდა. საერთოდ კი, პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, რეინვესტირებულმა თანხებმა 591.5 მილიონი დოლარი შეადგინა, შარშან კი ეს მაჩვენებელი 318.8 მილიონი დოლარი იყო.

ასეთი მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ მთავრობა კმაყოფილებას ვერ მალავდა. ფინანსთა მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** იმ მომენტზე გაამახვილა ყურადღება, რომ წლევანდელი სამი კვარტლის სტატისტიკის თანაფარდობით, ასეთი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს არასდროს ჰქონია:

„მესამე კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 17.6%-ით მოიმატა. მეტსაც გეტყვით, თუ ჩვენ სამი კვარტლის სტატისტიკას ავიღებთ, ასეთი მასშტაბის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს არასდროს ჰქონია. ეს კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტები, რაც გაფორმდა საქართველოს მთავრობის მიერ როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან, უკვე იძლევა კონკრეტულ შედეგებს. ვფიქრობ, მომავალი წელი უფრო უკეთესი იქნება ამ მიმართულებით“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მართალია, მესამე კვარტალში უცხოური კაპიტალდაბანდება შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ 2017 წლის საერთო მაჩვენებელში ხელშესახები წინსვლა მაინც არ იქნება. ეკონომისტები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ მთავრობა სტანდარტული მეთოდით აგრძელებს მუშაობას. თსუ-ს პროფესორი გიორგი ღაღანიძე კი მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა მოიზიდოს ინვესტიციები დარგებში, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ინდუსტრიის მიმართულებებს.

„წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრდა და დღემდე გრძელდება ინვესტორების მოზიდვის სტანდარტული მეთოდი, როდესაც თანხის დაბანდება, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ხდება. უნდა გადავიდეთ კონკრეტული დარგებისა და სექტორების წახალისებაზე. გარდა ამისა, არის ფაქტორები, რომელთა გამო ინვესტორთა ნაწილი განსაკუთრებით ფრთხილობს, ეს არის კონფლიქტური რეგიონები ქვეყანაში და რუსეთის ფაქტორი. თავისთავად ცხადია, ინვესტიციის განხორციელება ისეთ ქვეყანაში, რომლის დიდი ნაწილი ოკუპირებულია და რომელსაც ჰყავს აგრესიული მეზობელი, საკმაოდ სარისკოა, რადგან არ არსებობს ფიზიკური დაცვის გარანტიები“, — განაცხადა ღაღანიძემ.

საყურადღებოა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობასა და ენერგეტიკაში 2014 წლის შემდეგ მაქსიმალურ მაჩვენებელზეა. „საქსტატის“ ცნობით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მშენებლობაში ინვესტიციამ 116.2 მილიონი დოლარი შეადგინა. ბოლო წლებში ამაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წლის მესამე კვარტალში იყო, როდესაც ინვესტიციამ 183 მილიონი დოლარს მიაღწია. ენერგეტიკაში კი ივლისსექტემბერში 72,3 მილიონი დოლარი დააბანდეს. 3 წლის წინ კი ამ სექტორში 79 მილიონი დოლარი ჩაიდო, მას შემდეგ კი ამ კუთხით ინვესტიცია მუდმივად მცირდებოდა.

გეჟა დანელია

ᲑᲝᲚᲝ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲦᲠᲛᲐ ᲙᲐᲘᲤᲨᲘᲐ!

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲝᲑᲐᲖᲔ ᲯᲔᲠᲐᲪ „ ᲐᲠ ᲐᲛᲘᲦᲘᲐ ᲮᲔᲚᲘ“ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ (�პᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘᲡ) ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲘᲡ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲐᲪ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲣᲛᲘᲚᲡ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ!

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲦᲠᲛᲐ ᲙᲐᲘᲤᲨᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲡ... ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲒᲘᲟᲔᲑᲣᲚᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲛᲔᲠᲐᲨᲘ „ᲡᲐᲙᲐᲘᲤᲝ“ ᲛᲘᲔᲠᲗᲛᲘᲐ. „ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲘᲡ“ ᲬᲣᲗᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲜᲔᲕᲠᲝᲠᲗᲐᲗᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲘᲥᲪᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲐᲓ!

ᲛᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ (ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ) ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲐᲛ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲘᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲕᲘᲪᲘᲗ! — ᲓᲐᲕᲘᲓᲐᲠᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ! ᲗᲣ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲓᲔᲜᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ, ᲔᲡ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲪ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲝᲡ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲪᲕᲚᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ (ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ) ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲡ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲙᲐᲢᲐᲗᲐᲒᲒᲝᲑᲐᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲨᲕᲘ-ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲪ.

რა თქმა უნდა, მე არ ვარ ის ერთი, ვინც ეს ყველაფერი იცის! უკრაინასა და საქართველოში რომ ვერც ერთი ოფიციალური პერსონა ამაზე ხმამაღლა ვერ და არ ილაპარაკებს, ამის მიზეზი ნათელი და ადვილად გასაგებია. თუმცა, არც ის გამოცანაა ძნელი ასახსნელი, რატომ დუმს ჩვენი „არაოფიციალური“ პოლიტიკური სპექტრი?!

ასე რომ, ტრანკვილიზატორებით „დაკაიფებული“ მიშა კიდევ კარგა ხანს ირბენს კიევის ქუჩებში. ხოლო, გადმოინაცვლებს თუ არა იქაური „მაიდნიდან“ ჩვენს რუსთაველზე, ჯერ ამაზე და იმაზეც, სად დაამთავრებს — ციხის საკანში თუ... — „კვალიფიციურ მკითხავებსაც“ არა აქვთ უეჭველი პასუხი.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ

◎ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲐ „ᲓᲐᲑᲚᲝᲙᲐ“ ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲑᲘᲫᲒᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲙᲔᲜ“

ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შემდეგ განცხადება გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ დისკუსიაში ჩართული მხარეების მიერ წარდგენილი სხვადასხვა ვერსიის მიუხედავად, ქართულმა მხარემ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება ისევ დაბლოკა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მოლაპარაკებებში მონაწილეები საქართველოსა და აფხაზეთის, ასევე საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე არსებულ ვითარებას სტაბილურად აფასებენ, თუმცა ამ პოზიციას ქართული მხარე არ იზიარებს.

რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციაში ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საქართველოსთვის ტანსაწინააღმდეგო სისტემის მიყიდვას ითვალისწინებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის დადებული ეს შეთანხმება, 2008 წლის შემდეგ ყველაზე მსხვილი გარიგებაა და საქართველოს ახალი სახიფათო ავანტიურისკენ უბიძგებს.

განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო უწყებამაც:

„2017 ᲬᲚᲘᲡ 12-13 დეკემბერს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 42-ე რაუნდი, რომლის ფარგლებშიც განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დარჩენილი ქართველების მიმართ ეთნიკური დისკრიმინაციის მძიმე შედეგები და ძალის არგამოყენებისა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საკითხი.

დეტალურად იქნა განხილული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მძიმე ვითარება. მონაწილეებმა საქართველოდან დააყენეს რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობა. ხაზი გაუსვეს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერება, უკანონო მილიტარიზაცია და რეგულარული სამხედრო წვრთნები ხელს უწყობს ადგილზე ვითარების შემდგომ დესტაბილიზაციას.

ქართველმა მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელების გამო, კერძოდ სოხუმში რუსეთის ფედერაციის საბაჟო პოსტის შექმნა და ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის განცხადებები ახალგორში ანალოგიური სტრუქტურის შექმნის შესახებ.

მწვავე დისკუსიის საგანი იყო საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის გაგრძელება. მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან მოუწოდეს საოკუპაციო ხაზზე დახურული ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დაუყოვნებლივ გახსნისაკენ. ვრცლად იქნა განხილული თავისუფალი გადაადგილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე წვდომის აუცილებლობა. აღინიშნა, რომ უკანონო დაკავებებისა და გატაცებების პრაქტიკა ახდენს ადგილზე ვითარების ესკალაციას.

მოლაპარაკებების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის გაძლიერებაზე. ხაზგასმით აღინიშნა გალის რაიონის მაცხოვრებლების რთული მდგომარეობა ამ თვალსაზრისით. ხაზი გაესვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უცხოელებად დარეგისტრირება, მათი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შემდგომი შეზღუდვა, გვარებისა და ეროვნული იდენტობის შეცვლის იძულება შესაძლოა, გახდეს ოკუპირებულ რეგიონებში ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის საფუძველი.

თანათავმჯდომარეებმა და მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან დაგმეს ერედვსა და ცხინვალის რეგიონის სხვა ქართულ სოფლებში ეთნიკური ქართველების კუთვნილი კერძო საკუთრების მიზანმიმართული განადგურება. განხილულ იქნა გალისა და ახალგორის რაიონებში მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვის მძიმე შედეგები და ამ ვითარების დაუყოვნებლივ გამოსწორების აუცილებლობა. აღინიშნა, რომ ეს ყველაფერი ემსახურება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ქართული კვალის წაშლასა და იქ მცხოვრები მოსახლეობის რუსიფიკაციას.

ქართველმა მონაწილეებმა დააყენეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და მათი ავთენტურობის შენარჩუნების აუცილებლობა. მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან კიდევ ერთხელ მოუწოდეს საოკუპაციო რეჟიმს გიგა ოთხოზორიას მკვლელის დაუყოვნებლივ დაკავებისაკენ.ხაზი გაესვა გარემოს დაცვის მიმართულებით თანამშრომლობის საჭიროებას. ამ კონტექსტში გაიმართა ასევე საინფორმაციო სესია კატასტროფის რისკების შემცირებაზე.

საგნობრივი დისკუსია შედგა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეთა განცხადების პროექტზე ძალის არგამოყენების შესახებ. ქართველმა მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების აღების, შესრულებისა და აღნიშნულის უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებით გარანტირების აუცილებლობას. განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, მონაწილეები შეთანხმდნენ, მომდევნო რაუნდზე გააგრძელონ მუშაობა პოზიციების დაახლოების მიზნით.თანათავმჯდომარეებმა და მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებს მოუწოდეს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ჟენევის ფორმატს და ჩაერთონ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებებში. ამის მიუხედავად, მათ კვლავ სცადეს ჰუმანიტარული თემების პოლიტიზება და დევნილთა საკითხის განხილვისას დატოვეს მოლაპარაკებების ოთახი.

მონაწილეები დაემშვიდობნენ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში გაეროს წარმომადგენელს ანტი ტურუნენს, და მადლობა გადაუხადეს მას თანათავმჯდომარის რანგში გაწეული რვაწლიანი ძალისხმევისთვის. მონაწილეები ასევე მიესალმნენ ევროკავშირის ახალდანიშნულ სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარს და მას ჟენევის მოლაპარაკებების წარმატებით თანათავმჯდომარეობა უსურვეს.

მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება 2018 წლის 27-28 მარტს.

ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲔᲡ

რუსეთის უშიშროების სამსახურმა სანკტ პეტერბურგში ტერორისტული აქტები აღკვეთა. დაკავებულია „ისლამური სახელმწიფოს“ 7 მებრძოლი. ტერორისტული ქსელი რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში მასშტაბური ტერაქტების მოწყობას თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით 16 დეკემბერს გეგმავდა. სპეცოპერაციის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ 23 ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲓᲐ

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 23-მა ადამიანმა გამოთქვა. ამის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ელა პამფილოვამ განაცხადა. მისივე თქმით, კანდიდატთა რაოდენობა სავარაუდოდ კიდევ გაიზრდება.

ᲜᲔᲗᲐᲜᲘᲐᲰᲣ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲔᲡ

ისრაელის პრემიერ-მინისტრი პოლიციამ კიდევ ერთხელ დაკითხა. ბენიამინ ნეთანიაჰუ ძვირფასი საჩუქრების მიღებასა და საგამომცემლო სახლთან ფარულ გარიგებაშია ეჭვმიტანილი. ბრალდებებს ნეთანიაჰუ კატეგორიულად უარყოფს. დაკითხაზე ის უკვე მეშვიდედ მიიყვანეს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐᲡ 4 ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲪᲚᲐ

ამ დრომდე ვერ ხერხდება 10-ზე მეტი მოსწავლის ვინაობის დადგენა, რომლებიც საფრანგეთის ქალაქ პერპინიანში სასკოლო ავტობუსისა და მატარებლის შეჯახების შედეგად დაშავდნენ. ვერ დადგინდა იმ ოთხი მოსწავლის ვინაობაც, რომლებიც ავარიას ემსხვერპლნენ. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი პროკურატურა ავრცელებს. შეჯახება მაშინ მოხდა, როდესაც ავტობუსი რელსებზე გადადიოდა შეჯახების შედეგად, ავტობუსი ორ ნაწილად გაიყო. დაზიანებები მიიღო 20-ზე მეტმა მოსწავლემ. მათგან 11-ის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. ყველაზე მცირეწლოვანი მოსწავლე, რომელიც ავარიის შედეგად დაშავდა, რვა წლისაა, ყველაზე უფროსი კი 15-ის.

ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ

„ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფება აშშ-ს თავდასხმებით ემუქრება. მუქარის ტექსტი ისლამისტებმა Telegram-ში გამოაქვეყნეს.

„ჩვენ სულ უფრო მეტ ოპერაციას განვახორციელებთ თქვენს მიწაზე, ბოლო წუთამდე და იმ ომის ცეცხლით გაგანადგურებთ, რომელიც თქვენ წამოიწყეთ ერაყში, იემენში, ლიბიაში, სირიასა და ავღანეთში“ — ნათქვამია დაჯგუფების მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

ᲞᲘᲠᲣᲗᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ...

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ 80

ᲕᲘᲜᲪ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ (ᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ), ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲯᲔᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ ᲐᲠᲪ ᲡᲪᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ — ᲘᲒᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ�გᲣᲚᲨᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲖᲐᲛᲡ, ᲒᲐᲒᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘ�გᲜᲘᲗ ᲗᲣ �გᲐᲠᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲠᲘᲓᲝᲡ...

მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, თვალი გადავავლოთ მის დღემდე გავლილ ცხოვრების გზას.

1961 წელს დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი;

1967 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი;

1976 წელს — დოქტორის ხარისხი;

1986 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი;

1991 წელს — საქართველოს განათლების მინისტრი;

1999-2003 წლებში — საქართველოს პარლამენტის წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

2002-2004 წლებში — საპარლამენტო ფრაქცია „21-ე საუკუნის“ თავმჯდომარე.

ეს — ბიოგრაფიის საორიენტაციო ეტაპები, რომელთაც შინაარსობრივად ავსებს მისი მრავალმხრივი ნამოღვაწარი.

მართლაც მეტად მდიდარია აკად. ელიზბარ ჯაველიძის სამეცნიერო, სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ მას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში არც მუხლი ჩაუხრია და არც თვალი მოუხუჭავს, ფხიზელ დარაჯად ედგა ქართულ სიტყვას, ეროვნულ მეცნიერებას, მზერას არ აცილებდა ქვეყნის ავ-კარგს, ასავალ-დასავალს...

ბატონი ელიზბარი დედაუნივერსიტეტის ღირსეული შვილთაგანია, ერთგული მისი აკადემიური და სამოქალაქო ტრადიციებისა. დიპლომისეული სპეციალობით იგი აღმოსავლეთმცოდნეა, კერძოდ, თურქოლოგი, თურქული ლიტერატურის მკვლევარი; იგი მართლაც ერთგული მოწაფე და მემკვიდრეა დიდი მასწავლებლისა, აკადემიკოს სერგი ჯიქიასი.

ერთ კაცს სახელად ისიც ეყოფოდა, რაც ელიზბარ ჯაველიძემ მეტად თავისებური აღმოსავლური ლიტერატურის, კერძოდ, თურქული მწერლობის შესწავლისათვის გააკეთა. მისი ფუნდამენტური გამოკვლევის სამტომეული — „У истоков турецкой литературы“ (ტ. I — 1979; ტ. II — 1985; ტ. III — 2013) თურქული ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებსა და მოვლენებს ასახავს. მითითებულ თარიღებში ისიც კარგად ჩანს, რომ მკვლევარს არასოდეს შეუწყვეტია შტუდირება მთავარი სამეცნიერო ობიექტისა — თურქული ლიტერატურისა. ძნელია ამ მონოგრაფიების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. ისინი სამაგიდო წიგნებად ითვლება შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის; საერთოდ კი იმათთვის, ვისაც აინტერესებს აღმოსავლური რელიგიების, ფილოსოფიის, ესთეტიკისა და პოეზიის მეტად თავისებური სამყარო.

შეუძლებელია იკვლევდე ამ სამყაროს და არ ჩაუღრმავდე იმ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს, რომელსაც აღმოსავლური შემოქმედება ემყარება. შეიძლება ითქვას, ელიზბარ ჯაველიძის კვლევებმა ახალი კარი გახსნა ისეთი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის კვლევაში, როგორიცაა, კერძოდ, სუფიზმი. სუფიზმი ხომ შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ესთეტიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, რელიგიური და პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედს წარმოადგენდა და, ცხადია, მას ეფუძნებოდა და აირეკლავდა უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პროცესები ამ სამყაროში. ამ ლიტერატურული პალიტრის სიღრმისეული ანალიზი სრულად წარმოუჩენს მკითხველს როგორც ამ თავისებურ შემოქმედთა ფილოსოფიურ მსოფლგანცდას, ისე შეაცნობინებს მათი მხატვრულ-ესთეტიკური ხელოვნების საიდუმლოს.

უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები უძღვნა ელიზბარ ჯაველიძემ აღმოსავლური ლირიკის თავისებურებებს („თურქული პოეტიკა“, 1988) და ამ პოეტურ სამყაროში ხორცშესხმულ სასიყვარულო-სამიჯნურო თემატიკას („რუჰი ბაღდადი“, 1972; „ფიზული, 1972). ელიზბარ ჯაველიძემ ორიგინალურად გაიაზრა მისტიკური და მიწიერი სიყვარულის ურთიერთმიმართების უაღრესად სადავო საკითხი, კერძოდ, მან მოხსნა ეს შეუსაბამოდ დასმული კითხვა და გვიჩვენა, რომ, მართალია, აღმოსავლური ლირიკა რეალურ განცდებს გადმოგვცემს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის განზოგადებული, გარკვეულ კანონიკაზე დაფუძნებული სამიჯნურო ურთიერთობა, აშიყ-მაშუყის ურთიერთდამოკიდებულების არსი.

ელიზბარ ჯაველიძის თეორიულ კვლევათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 2010 წელს გამოქვეყნებული სოლიდური მონოგრაფია „ფუთუვეთი — სულიერ-რაინდული ძმობა (ფეთა, ჯევანმარდი, აიარი, რინდი, აჰი, ყარაჩოღელი)“. ამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში, მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით, გაანალიზებულია ფუთუვეთის — როგორც აღმოსავლური სარაინდო ინსტიტუტის — იდეური არსი, ამ ინსტიტუტის განშტოებები, მათი ურთიერთმიმართებები, ამგვარი „ძმობის“ განვითარების გზა, ის ევოლუცია, რომლის საინტერესო გამოვლინებებიც მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ცალკეულ ქართულ რეალიებთან. ელ. ჯაველიძემ ახლებურად წარმოაჩინა და მნიშვნელოვანი საბუთიანობა შესძინა წინამორბედ ქართველ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, ვალერიან გაბაშვილი) მიერ გამოთქმულ ვარაუდს ლაშა-გიორგისა და რინდების ისტორიული ურთიერთობის შესახებ. მან ასევე ხელშესახებად წარმოაჩინა რინდებისა და ყარაჩოღელების სულიერ-მსოფლმხედველობრივი სიახლოვე და აჩვენა, რომ ყარაჩოღელთა გენეტიკური ძირები სწორედ ფუთუვეთის ინსტიტუტში ჰპოვებს საწყისებს.

მეტად საყურადღებოა ელიზბარ ჯაველიძის ძიებანი შუა საუკუნეების აღმოსავლურ და ქართულ კულტურათა ურთიერთობების საკითხებზე. მაგალითად, ყველასთვის ცნობილია მისი ნაშრომები გურჯი ხათუნისა და ჯელად ედ-დინ რუმის სულიერი ურთიერთობის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ელიზბარ ჯაველიძის ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა; მაგალითად, მან პროფ. გიორგი შაყულაშვილთან ერთად თარგმნა და მდიდრად კომენტირებული სახით გამოსცა შუა საუკუნეების ცნობილი თურქულენოვანი ეპოსი „დედე-ქორქუთი“ (1987).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ელიზბარ ჯაველიძის კვლევები ქართული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის სფეროში. მისი მეცნიერული ანალიზის არეალში მოექცა როგორც ძველი პერიოდის ქართული მწერლობის, ისე, განსაკუთრებით, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები და ტენდენციები. ერთობ ზუსტი და მახვილია მისი კალამი, ვითარცა ლიტერატურის კრიტიკოსისა, რომლის ხედვის არეშიც ექცევა როგორც ცალკეულ თხზულებებში წარმოჩენილი ეთიკური თუ ესთეტიკური პრობლემები, ისე მათი მწერლური ოსტატობის მრავალფეროვანი საკითხები. ავტორის სტატიებმა და ესეიებმა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში სამი მნიშვნელოვანი წიგნი შეადგინა: „შტუდიები“ (1985 წ.), „უკუეთუ სულითა“ (1989 წ.) და „უკუნეთი“ (2001 წ.). ამ კრებულებში განხილულია როგორც ლიტერატურული კრიტიკის არსისა და დანიშნულების აქტუალური საკითხები (მაგ., „თანამედროვე კრიტიკის ზოგადი პრობლემები“), ისე ეროვნული ლიტერატურის მიერ წარმოჩენილი ისეთი იდეური და ზნეობრივი ორიენტირები, რომელთაც ესოდენ სისხლსავსედ წარმოგვიდგენდა კლასიკოსთა დიდი მემკვიდრეობა; მაგალითად, ესეი „ვინა ვართ და რანი ვართ“, რომელიც ილიასეული თვალთახედვით გვისიგრძეგანებს ჩვენი ერის წარსულსა თუ დღევანდელობას და იმასაც გვიწინამძღვრებს, თუ „რანი ვიქნებით“ მომავალში. მართლაც ყოვლისმომცველ ანალიზს წარმოადგენს ელ. ჯაველიძე გიორგი ლეონიძის ისეთი მნიშვნელოვანი ლექსისას, როგორიცაა „ყივჩაღის პაემანი“ და სხვ. თანამედროვე ლიტერატურული პროცესების კრიტიკული ანალიზის ნიმუშია მისი ერთი წერილი — „ქართული მოთხრობის ხვალინდელი დღე უფრო ნათელი იქნება“, რომელიც არაერთი ქართველი პროზაიკოსის, მათ შორის — ახალგაზრდების (რ. ინანიშვილი, გ. მაღულარია, ჯ. ტიკარაძე, ქ. მელიქიშვილი, ა. გაბელაია, მ. ამირეჯიბი, მ. აბაშიძე, ზ. თორია, მ. მოსულიშვილი, ირ. ლომოური და სხვ.) შემოქმედების საფუძვლიან და, რაც მთავარია, პირუთვნელ ანალიზს მოიცავს.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე რა გასაკვირია, თუ ელიზბარ ჯაველიძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის, ეროვნული ლიტერატურული პროცესების ორგანიზაციასა და მართვაში; სხვადასხვა დროს იგი გახლდათ რედაქტორი სხვადასხვა პერიოდული გამოცემისა: საქართველოს მწერალთა კავშირის ძირითადი ორგანოსი — „ლიტერატურული საქართველოსი“, ასევე ალმანახ „კრიტიკისა“, გაზეთებისა: „საქართველოს სამრეკლო“, „კოლხური კოშკი“, „ახალი ერა“ და „აისი“... ამ გამოცემების არსებობა თუ გადარჩენა ბატონი ელიზბარის სახელს უკავშირდება და მისივე დამსახურებაა, რომ მათ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ურთულესი პერიოდის საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ლიტერატურული გემოვნების შენარჩუნება-განმტკიცებაში.

ბატონი ელიზბარ ჯაველიძე არასოდეს დასდგომია განზე საკუთარი ქვეყნისა და ხალხის თავს დატეხილ ათასგვარ პრობლემას; იგი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ყოველთვის მოვლენათა შუაგულში ჩანდა; მისი პიროვნების მიმართაც შეიძლება გამეორდეს ირ. აბაშიძის სტრიქონები: „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე, ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე“... იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ხელისუფლების მიერ შერჩეული პირველი განათლების მინისტრი (1991); როგორც აღინიშნა, იყო პარლამენტის წევრი და მნიშვნელოვანი კომიტეტების ხელმძღვანელი... მან ღირსეულად, პრინციპების დაუთმობლად გამოიარა ყველა განსაცდელი, მათ შორის პოლიტიკური ემიგრაციის წლებიც (გერმანია, 1995-1998) და დაბრუნების შემდეგაც ისევ იქ დადგა, სადაც მისი მსოფლაღქმის პიროვნება უნდა მდგარიყო... თითქოს არც წასულა არსად...

და დროის ეს აღქმა, ეს ამალგამა საქართველოს უახლესი ისტორიისა მომავალს პირუთვნელი მემატიანის თვალით **წარმოუჩენდება** ელიზბარ ჯაველიძის პუბლიცისტურსა და პოლიტპოლემიკურ **სტატიებში,** რომელთაც დროის ბეჭდით აღბეჭდილი რამდენიმე წიგნი **შეადგინეს:** „ავაჰმე, ჩემო მამულო“ (2007), „მართალმა რაი ჰყოს“ (2008), „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“ (2009), „საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“ (2011).

აკად. ელიზბარ ჯაველიძე დღესაც მტკიცედ და შემართებით დგას ქართული სიტყვის, ეროვნული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ზნეობის სადარაჯოზე, ენერგიულად ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელ კომისიას და ყველაფერს აკეთებს ჩვენი საზოგადოების გასათვითცნობიერებლად თანამედროვე პროცესებში, ჩვენი მეცნიერებისა და განათლების ინტერესების დასაცავად.

კვლავაც ჩვეულ სიმხნევესა და სიფხიზლეს, ჯანმრთელ დღეგრძელობასა და დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიას ვუსურვებთ 80 წლის აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲛᲐᲚᲔ ᲑᲝᲓᲝᲠᲜᲐᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბოდორნას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ოფიციალურ ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო. **პირველმა ვიცე-პრემიერმა კომპანია „ჯორჯიან უოთერს ენდ ფაუერის“ ხელმძღვანელობასა და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ჰესის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულა ჩაუშვა. ახალი სადგური მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში აშენდება.**

ბოდორნაჰესს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აშენებს. კომპანია ე.წ „მწვანე“ ჰესის უმაღლესი ხარისხითა და თანამედროვე ტექნოლოგიით მშენებლობისთვის 10 მლნ ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლრავე 2.5 მგვტ-ია, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება — 15 მლნ.კვტ/სთ. პროექტის განხორციელების პროცესში 50-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ბოდორნაჰესის ელექტრო-მექანიკურ ტურბინებს და გენერატორს ავსტრიული კომპანია GUGLER-ი დაამზადებს, რომელიც ლიდერია ჰიდროაგრეგატების წარმოების დარგში. რაც შეეხება სამშენებლო და საპროექტო სამუშაოებს, მათ ქართული კომპანიები „პირამიდა“ და „საქ. წყალ პროექტი“ განახორციელებენ. მშენებლობის პრო-

ცესს მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანია „Stucky SA“ გაუწევს ზედამხედველობას. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ჰესის მშენებლობას ნიდერლანდების განვითარების ბანკისა (FMO) და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEG) მიღებული გრძელვადიანი სესხის ნაწილით აფინანსებს.

ახალი „მწვანე“ ჰესის მშენებლობა 2018 წლის სექტემბერში დასრულდება და საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში ჩაერთვება.

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲨᲡᲡ ᲘᲠᲬᲛᲣ�ნᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲔᲑᲐ.

„მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში (ქუჩებში) ჩატარება იგეგმება 2018 წლის პირველი ნახევრიდან. რაც შეეხება აღნიშნული გამოცდის თბილისის ქუჩებში ჩატარებას, დედაქალაქის არც ერთ ქუჩაზე არ იგეგმება მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის განხორციელება“, — ნათქვამია შსს-ს წერილში.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველი ინფორმაციით, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა რეალურ მოძრაობაში გადასვლის შემდეგ, თბილისისა და რუსთავის ქუჩებში უნდა ჩატარებულიყო. ამ მიზნით რუსთავში კონკრეტული ქუჩები შსს-ს მომსახურების სააგენტომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ შეარჩია, დედაქალაქში კი შესაბამისი ქუჩების განსაზღვრაზე მუშაობა მიმდინარეობდა.

სიყვარული, რომელიც ყოველგვარ ტკივილს დაგავიწყებს

„მაგთი კლუბი“ ტრადიციად ქცეული საღამოებით კვლავ გვანებივრებს — შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, მსახიობებთან, მომღერლებთან. განსაკუთრებით დასაფასებელია საღამოები, რომელიც წინა წერილებში დებიუტად მოვიხსენიე. დიახ, შეხვედრები დამწყებ შემოქმედებთან. ამჯერად, მეტად საინტერესო საღამო შედგა, გასაკვირიც არაა, „მაგთი კლუბში“ ბატონი **ზურაბ ყიფშიძე** თავისი თაყვანისმცემლების წინაშე წარდგა. მართალია, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს „მაგთი კლუბის“ მყუდრო დარბაზი ვერ დაიტევდა, მაგრამ ვინც შეძლო ამ საღამოზე დასწრება, დარწმუნებული ვარ, ყველა კმაყოფილი დარჩა.

მოგახსენებთ, თუ რამ განაპირობა „მაგთი კლუბში“ ზურაბ ყიფშიძის საღამოს ჩატარება. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი და კომპანია „მაგთი“ უკვე წლებია, ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ეს შეხვედრაც სწორედ ამ თანამშრომლობით გადაწყდა. თეატრისა და ხელოვნების მოყვარულთათვის მეტად სასიხარულო ინფორმაციას გვაწვდის მსახიობი და რეჟისორი, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის დირექტორი **ზურაბ გეწაძე** — „მაგთი კლუბი“ პერიოდულად მოაწყობს შეხვედრებს თუმანიშვილის თეატრის მსახიობებთან.

სწორედ ზურაბ გეწაძემ გახსნა ეს საღამოც. მან დიდი სიყვარულით ისაუბრა მსახიობზე და მის შემოქმედებაზე თეატრსა თუ კინოში. მართალია, ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებას მისი თაყვანისმცემლები ზედმიწევნით იცნობენ, მაგრამ რეჟისორისა და მეგობრის თვალით დანახული ზურაბ ყიფშიძე სულ სხვაა. **„დარწმუნებული ვარ, საღამო ძალზე საინტერესო იქნებაო“,** — განაცხადა რეჟისორმა და არც შემცდარა, საღამო ზუსტად ისე წარიმართა, როგორც მან ივარაუდა.

რამდენჯერაც არ უნდა მოუსმინო საყვარელ მსახიობს, ყოველი თხრობის დროს ყოველთვის ახალს იგებ. წლების გადასახედიდან ამა თუ იმ მოვლენას სულ სხვაგვარად ხედავ, სხვაგვარად იხსენებ, სხვა შეფასებებს აძლევ, დაბრძენებული თვალით უყურებ შენს განვლილ ცხოვრებას, უფრო დაფიქრებული ხარ მომავალზე და შენს ყოველ ნაბიჯზე, რადგან გულით გრძნობ ხალხის სიყვარულს. ეს „ხალხი“ კი არც თუ ისე ცოტაა, სხვადასხვა ასაკის, დაწყებული იქიდან, რომელთაც ზურაბ ყიფშიძის პირველი ნაბიჯები ახსოვთ, დამთავრებული თინეიჯერებით, რომლებიც სხვათა გადმოცემით და ტელეეკრანიდან იცნობენ მსახიობს. ამ მრავალრიცხოვან არმიაში სხვადასხვა ასაკის გარდა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც არიან, გამომდინარე იმ ფილმებიდან და როლებიდან, რომელიც ზურაბს აქვს შესრულებული და რომლებიც მათ ეთავისებათ.

მომეჩვენა, რომ მსახიობი მეტად თვითკრიტიკულიც იყო, გახსნილი და უშუალო, შიგადაშიგ მკაცრიც, სწორედ ეს იყო ამ საღამოს ხიბლი, განსხვავებით სცენისა, როცა მსახიობს უყურებ სხვისი ცხოვრების შესრულების დროს და აქ, ამ მშვენიერ დარბაზში, სადაც იგი ყოველგვარი ნიღბის გარეშე გესაუბრება.

არ დამავიწყდება ცნობილი ექიმისა და მსახიობის მეგობრის, ბატონი **სანდრო ჩირინაშვილის** შეფასება, რომელიც ერთ-ერთი გაზეთის წარმომადგენელს, ჩემს კოლეგას უთხრა: **ზურამ ჩემს დანახვაზე ჩაილაპარაკა — ჩემი გადამრჩენელი მოვიდაო. დიახ, ჩვენ ერთმანეთის გადამრჩენელები ვართ, მთელი ცხოვრებაა ერთმანეთის პულსზე გვიდევს ხელი. ჩვენი სულიერი სამყარო ძალიან ახლოა, ახლოა, რადგან ერთმანეთთან ურთიერთობითა და გულახდილი საუბრით შვებას ვპოულობთ.**

საღამო დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა, დაშლას კი არავინ აპირებდა, ყველას სიამოვნებდა თვითნაბადი ნიჭის, უაღრესად კეთილშობილ ადამიანთან საუბარი. ზურაბს ხომ ღმერთმა შესანიშნავი გარეგნობა, ხმა და ნიჭი უბოძა, რაც მსახიობისთვის პირველია, ხოლო უშუალობა და თვითკრიტიკა კი, ადამიანისთვისაა საჭირო, ერთიანობაში კი დიდი მსახიობი და დიდი ადამიანი ხდები. სწორედ ეს იყო ამ ლამაზი საღამოს არნახულად ხანგრძლივობის მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ცოტა შეუძლოდ გახლდათ, დაღლას მაინც ვერ გრძნობდა. დასასრულ, მისივე სიტყვები მინდა გავიმეორო: **სამართლე რომ ვთქვა, არ მინდოდა დღეს აქ მოსვლა, არც განწყობა მქონდა და არც ფიზიკურად ვგრძნობდი თავს კარგად. არც ის ვიცოდი, რაზე უნდა მესაუბრა, მაგრამ აქ შეკრებილმა საზოგადოებამ, მათმა ჩემდამი ინტერესმა და დამოკიდებულებამ, „მაგთი კლუბის“ ატმოსფერომ, საღამოს ორგანიზატორების კეთილგანწყობამ და თანადგომამ, ყველაფერი დამავიწყა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი შეხვედრა გამოვიდა.**

„მაგთი კლუბი“ კი ყოველკვირეულად კიდევ უფრო საინტერესო საღამოებს გვპირდება.

ავთანდილ გელაური

საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიტიკას მისი განახლებული გადაცემების ყურება სჯობს!

საზოგადოებრივი მაუწყებლის დასაქმების პოლიტიკა გაუმჭვირვალეა, განუცხადა ჟურნალისტებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარმა მამუკა ანდღულაძემ. მისი თქმით, საზოგადოებრივ მაუწყებელში ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზიის „ჯი-დი-ეს“-ის თანამშრომლები აქტიურად დასაქმდნენ, როგორც წამყვანი მენეჯმენტის, ასევე ჟურნალისტის პოზიციებზე.

„ახალი მენეჯმენტის პირობებში გაძლიერდა ეჭვები, საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხელისუფლებისა და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების ზეგავლენის შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემები გარკვეული დროით შეჩერდა და მათი ნაწილი დღესაც არ გადის ეთერში. ეს შესაძლოა, არღვევდეს კანონს, რომელიც მაუწყებელს ავალდებულებს შეასრულოს სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამული პრიორიტეტები. აღნიშნული პრიორიტეტები მოიცავს მაუწყებელზე ჟურნალისტური გამოძიების, კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი გადაცემების არსებობას.

გარდა ამისა, პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კონტროლი სამეურვეო საბჭოს ვალდებულებაა, თუმცა, საბჭო სათანადოდ არ რეაგირებს პრიორიტეტების შეუსრულებლობის საკითხებსა და მაუწყებელში მიმდინარე სხვა საკამათო რეფორმებთან დაკავშირებით.“ — განაცხადა ანდღულაძემ.

◎ კვალი დროში

გამოჩენილი ენერგეტიკოსი და პროფესიონალი!

ელიზბარ ერისთავი — 80!

გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 80 წელს!

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბატონმა ელიზბარმა განვლო დიდი გზა საპროექტო ინსტიტუტ „ელექტროქსელპროექტში“ რიგითი ინჟინრიდან ინსტიტუტის დირექტორობამდე.

1969-1972 წ.წ. მონაწილეობდა ასუანის ელექტროსადგურიდან ელექტროენერგიის გადაცემისთვის მაღალი ძაბვის ქსელის დაპროექტებაში. „ენერგოქსელპროექტში“ მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დაპროექტდა მაღალი ძაბვის სისტემათაშორისო და სასისტემო ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, ენერგოსისტემა აღიჭურვა მართვის თანამედროვე ავტომატიზებული სისტემებით. საბჭოთა პერიოდში მისი მონაწილეობით დამუშავდა „საქართველოს ენერგეტიკული პროგრამა“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციის დამუშავებაში, რომელსაც სპეციალური პრემია მიენიჭა. 1997წ. საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით ინიშნება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველ თავმჯდომარედ. კომისიამ, რომლის უფლებამოსილებები აისახა „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში, ჩამოაყალიბა საქართველოსთვის სრულიად ახალი რეგულირების ინსტიტუტი, მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ტარიფების რეგულირების, ლიცენზირების და სხვა საკითხებში. არის ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის, აგრეთვე ევრაზიის ქვეყნების ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონალური ასოციაციის წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, ენერგეტიკის ეკონომიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი. საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ის, კანადის, უნგრეთის, რუსეთის, ბალტიისპირეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ელექტროენერგიის მარეგულირებელ ორგანოებთან. მის ნაშრომს „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“ 2005 წელს მიენიჭა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია. 2004 წლიდან განაგრძობს მუშაობას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მრჩევლად.

ბატონი ელიზბარი არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალ „ენერგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკის წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სხვა ჯილდოებით. ბატონი ელიზბარი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს კოლეგებში, ქართულ ენერგეტიკულ და საინჟინრო საზოგადოებაში.

ბატონო ელიზბარ, დიდი მადლობა თქვენ, თავდადებული და უმწიკვლო მრავალწლიანი შრომისთვის სამშობლოს საკეთილდღეოდ და ენერგეტიკის დარგის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის!

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

მისტიკური რომანის მასტერკლასი

როსტომ ჩხეიძის „თვითმკვლელობა ქართულად“

კარგ მწერალს ისეთი დელიკატური თემა, როგორიც თვითმკვლელობაა, შეუძლია არამარტო კარგად გაიაზროს, არამედ იმისთვისაც გამოიყენოს, რომ სარგებელი პოვოს ერის მეხსიერებისათვის.

როგორ ვთქვა, როსტომ ჩხეიძისგან ამას არ ველოდი-მეთქი. თუმცა წიგნის სათაურს „თვითმკვლელობა ქართულად“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“, 2017) რომ მოვკარი თვალი, მაინც გამიელვა ეჭვმა, რომ ეს მძიმე თემაა საჯარო საუბრისათვის. თვითმკვლელობის აქტისადმი შემწყნარებლობის გამოვლენა ქრისტიანული რელიგიური მორალით დაუშვებელია, თანაც გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს, ვინც მითს არ იცნობს, ის ჩემს ნაზრევს ვერ გაიგებსო, ამ რომანის წაკითხვას უსათუოდ კარგი ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისი სჭირდება. თუმცა ამ მასტერკლასს როსტომ ჩხეიძე ისე უმტკივნეულოდ უტარებს ამ მისტიკური რომანის წამკითხველთ, რომ ყოველი ახალი ფურცლის გადაშლისას მასში იზრდება სითამამე სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული შეპაექრების კანონზომიერი მოცემულობის წინაშე.

„კლასიკური ყალიბიდან“ ამოვარდნილია როსტომ ჩხეიძის ეს რომანიც, ბორის აკუნინის ფუნდამენტური კვლევაძიების „მწერალი და თვითმკვლელობის“ თემატური ორეული, მხოლოდ ქართული, როსტომ ჩხეიძისეული, რომლითაც იგი ცდილობს სიკვდილის მსოფლგანცდის ჩვენებით არ ჩამოარჩინოს, აუტსაიდერობისაგან იხსნას ქართული სინამდვილე და ქართული გონი, განა ვინ დაიწუნებს ქართული აზრის ისტორიას ამ თვალსაზრისით?

„თუმც არასოდეს დავინტერესებულვარ საგანგებოდ თვითმკვლელობის შესწავლით — მის ფსიქოლოგიურ საწყისთა თუ პერსონაჟებისა, მაგრამ ჩემი ბიოგრაფიული რომანებისა და ნატეხების რკალში ძალდაუტანებლად შემოიჭრებოდა ეს თემაც და თავისებურ ნაკადად წარმოსდგებოდა“, — წერს შესავალში მწერალი. რა თქმა უნდა, შეუძლებელია გამიჯნო მისი ბიოგრაფიული რომანების გმირები ამ მისტიკური აქტის ალბათობისაგან.

გალაკტიონი და პაოლო იაშვილი ბორის აკუნინის წიგნის პერსონაჟთა გალერეაშიც არიან მოხვედრილი. მწერალი ეძებს და თითქოს აგნებს თვითმკვლელობის მიზეზებს, მაგრამ ეს თითქოს. ეს მიზეზი უფრო დიდია, უფრო ღრმაა, ვიდრე ბორის აკუნინს ჰგონია და მას ისევ ქართველი მწერალი ხედავს ისე, როგორც არის ის სინამდვილეში. ეს დიდი სულიერი ტკივილის ფინალია და ის განძი, რომელიც მან გვიანდერძა — შედეგი. ასე მიიჩნევს როსტომ ჩხეიძე და ვეთანხმებით, რომ აქ პოლიტიკური ელფერით მოვარაყებული ნარატივი სრულიად უადგილოა.

როსტომ ჩხეიძის ეს რომანი სიკვდილთან მებრძოლ ქართულ სინდისზეა. მათ ყველაზე დიდი შიში დაძლიეს — სიკვდილის შიში. იმის იქით ხომ აღარაფერი არსებობს...

თავისკენ მიშვერილი ეს ტყვია პაოლოს **„სინდისის ქენჯნისაგანაც ათავისუფლებდა და მწვავე პროტესტადაც გაისმოდა იმ საზარელ სინამდვილეში, შიში რომ მეფობდა, ძრწოლა რომ განაგებდა ყველაფერს“.**

ილიაც გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს იმ საბედისწერო დღეს, მაგრამ მაინც გავიდა წიწამურის გზაზე. ეს ამბავი ადრეც გვსმენია, ოლღა გურამიშვილის შევედრებაზეც გვსმენია და ავისმომასწავებელ სიზმარზეც, მაგრამ ილიას გადაწყვეტილების მეტაფორა ჩემთვის მაინც ბოლომდე გამოუცნობი დარჩებოდა, რომ არა როსტომ ჩხეიძის ეს რომანი. **„გოლგოთა მოითხოვდა თავისას და ამ ღვთიურ ვალს თავისი გამგრძელებელი კვლავაც უნდა ეპოვა მიწაზე“** — ასე გახსნა მწერალმა წიწამურის მისტიკური გზის საიდუმლო.

როსტომ ჩხეიძის ამ წიგნს სხვანაირად ასე ვუწოდებდი — ეს არის რომანი სიკვდილთან, რომლის საბედისწერო და იდუმალი განცდა ხვედრია და ის ნაწილია იმ მთლიანობისა, რასაც ადამიანის ფიქრიანი სიცოცხლე ჰქვია. ამის გარეშე ვერ იქნება... ეს კანონზომიერება საბჭოთა ცენზურისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი იყო — „აქ ხომ საბჭოთა ბეღურასაც არ ციოდა ზამთარში“...

ერთგან ოთარ ჩხეიძის პიესის „ძველი რომანსების“ დადგმის ისტორიაზე მოგვითხრობს ავტორი. კერძოდ, ფინალზე, სადაც გამიჯნურებული ქალის თვითმკვლელობის სცენა უნდა გათამაშებულიყო სოხუმის თეატრის სცენაზე. გვიამბობს, თუ როგორ მოუგეს ეს დიპლომატიური ომი რეჟისორმა და სცენარის ავტორმა — ოთარ ჩხეიძემ მაშინდელ ცენზურას. მწერალმა პრინციპულად არ დათმო ეს პასაჟი, ბედნიერ „ჰეფი ენდზე“ მოჩვენებითად დათანხმდა, მაგრამ პიესიდან თვითმკვლელობის აქტის გამოტანაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ოთარ ჩხეიძემ კარგად იცოდა, რა იდგა ამ შეცნობილი დასასრულის უკან...

როსტომ ჩხეიძის მისტიკურ რომანში „ თვითმკვლელობა ქართულად“ სიკვდილთან მიმართებაში გააზრებული პასაჟებისა და ფილოსოფიური განსჯის პარალელურად ზღვა მასალას მოუყრია თავი ჩვენი სულიერების ისტორიიდან — კირიონ მეორისა და ზვიად გამსახურდიას აღსასრულის ამბავი მიგნებულად არის ჩართული რომანის ქარგაში. ამ მკვლელობის თვითმკვლელობით შეფუთული პოლიტიკური კონტექსტი უამრავ პარალელს პოულობს მტრის ხელწერის გამოსაცნობად. და აქ, მომეჩვენა, რომ მწერალი სულაც არ იცავს საქართველოს პირველ პრეზიდენტს თვითმკვლელობის ცოდვის სიმძიმისაგან, **„ლოგიკურ განსჯას აქვს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა თვითმკვლელობის ფსიქოლოგიურ მიზეზთა დადგენისას?“** — ეს რიტორიკული კითხვაა... ამის პასუხი თავად რომანში დევს. ასეც რომ იყოს, ჩემი აზრით, სიმართლე ამ საქმესთან დაკავშირებით მაინც მყიფეა და მწერალს ბოროტმოქმედთა ხელში აღმოჩენილი თვითმკვლელობის ბრალდება უფრო ტანჯავს. ყოველ შემთხვევისათვის, ამ წიგნის მთავარი ხაზი ამ ასოციაციის უფლებას მიტოვებს.



სალომე კაპანაძე

◎ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ

მორფეოსის მინიშნებანი

ადამიანები ყველა დროში დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ სიზმრებს და ცდილობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ერთგვარ მინიშნებად გამოყენებას. ისე კი, მართლაც საინტერესოა, შეუძლია თუ არა სიზმარს ჩვენთვის რაიმეს წინასწარ შეტყობინება?

ოდესღაც თვლიდნენ, რომ სიზმრები — ესაა ღმერთების განსაკუთრებული ძღვენი, რომელიც ადამიანს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ამიტომაც, ძველ დროში სიზმრის ამხსნელები მხედართმთავრებს ომებში ახლდნენ, ანტიკურ რომში კი სიზმრებს სენატის სხდომებზე არჩევდნენ და მათ სწორად ახსნას ცდილობდნენ.

შემდეგ, დროთა განმავლობაში, სიზმრების მიმართ ინტერესი განელდა, თუმცა, თუკი გადმოცემებს ვენდობით, ზოგიერთი სიზმარი დიდი მეცნიერული აღმოჩენის ბიძგი გახდა, მათგან ყველაზე ცნობილი დიმიტრი მენდელეევის სიზმარია, თითქოსდა მან თავისი საქვეყნოდ ცნობილი ტაბულა ძილში ნახა.

სიზმრებს მართლაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული როლის შესრულება, ანდა ადამიანისთვის უსიამოვნების თავიდან არიდების შესაძლებლობის მიცემა. საქმე ისაა, რომ **სიზმარი — სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ქვეცნობიერების მუშაობის შედეგი.** ხშირად ისე ხდება, რომ რეალურ ცხოვრებაში ზოგიერთი რაღაცის ბოლომდე აღქმა არ შეგვიძლია, ვცდილობთ, დავემალოთ გარკვეულ საგანგაშო ვითარებას, ქვეცნობიერება კი სიზმრის სახით გარკვეულ ნიშნებს გვიგზავნის და გამოსავალს გვკარნახობს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სიზმარი როდია მნიშვნელოვანი, ამის განსაზღვრა თავად მის მნახველ კაცს შეუძლია. **თუკი სიზმარი მკაფიოა და დაგამახსოვრდათ, თუკი გუნებაში მას ხშირ-ხშირად „ატრიალებთ“, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ გარკვეული მინიშნება გესიზმრათ, რომლის უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ღირს.** ხშირად ასეთი სიზმრები შინაგანი კონფლიქტის მოწმობებია და ზოგჯერ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზებს გვიჩვენებენ, ანდა ჩვენთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს გვცემენ.

მაინც, რას ნიშნავს ესა თუ ის სიზმარი? ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თავად მის მნახველთ შეუძლია. ამის გაკეთება რამდენიმე გზით შეიძლება. საამისოდ სიზმრის წიგნის ნახვაა საჭირო, ოღონდ ისეთი უნდა აირჩიოთ, რომელშიც სიზმარში ნანახის რამდენიმე ახსნაა, რომელთა შორის ის უნდა აირჩიოთ, რომელიც თქვენთვის უფრო ახლობელია: **ქვეცნობიერება არა მხოლოდ ძილში, არამედ ცხადშიც გელაპარაკებათ და სწორედ მან უნდა გიკარნახოთ, თუ რომელი ახსნა უფრო მიესადაგება თქვენს სიზმარს.** ამასთანავე, არ უნდა გეშინოდეთ „ცუდი სიზმრების“, რადგან ისინი უბრალოდ გაფრთხილებენ იმის თაობაზე, რომ უფრო მეტი გულისყურით უნდა მიუდგეთ თქვენს ჯანმრთელობას, ანდა გარკვეულ ვითარებას და ისე არ უნდა აღიქვათ, თითქოს ცუდ მომავალს გიქადიან.

სიზმრის ახსნის კიდევ ერთი გზაა ნანახი სახის გათავისება: საქმე ისაა, რომ ყველაფერი სიზმარში ნანახი, თქვენი საკუთარი „მე“-ს ნაწილია, ამდენად როცა ცუდ სიზმარს ცხადში „გაათამაშებთ“, მაშინ მიხვდებით, თუ რისგან ცდილობს თქვენს დაცვას თქვენივე ქვეცნობიერება. ამის შემდეგ კი რეალური შიშებიც სიზმრებთან ერთად გაგიქარწყლდებათ.

ნინო ალექსანდრია

არ გაგიკვირდეთ, ჩემს სიკვდილსაც თუ გაიგებთ!

ბუტა რობაქიძის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის წინააღმდეგ პროკურატურაში განცხადება შეიტანა „სამართალდამცველების რეფორმირების ცენტრმა“, რომლის დამფუძნებელიც რობაქიძის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავაა.

„ამ ორგანიზაციისა და ზვიად კუპრავას მიერ შეტანილი განცხადება პროკურატურაში ჩემი ღირსების შელახვას ემსახურება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია მიმდინარე სასამართლო პროცესებთან. გინდ პროკურატურაში შეიტანონ საჩივარი და გინდ სტრასბურგში გადაგზავნონ, არანაირი პრობლემა არ არის, ვაპირებ სასამართლოში შევიტანო განცხადება კუპრავას და ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ღირსების შელახვისთვის. მათ არაერთხელ სცადეს მტკიცებულებებისა და სიმართლის გარეშე ჩემი სახელი შელახონ. ამიტომაც, სასამართლოზე საქვეყნოდ მოუწევთ ბოდიშის მოხდა. ბრალდება ეხება იმას, რომ თითქოს „ქომაგში“ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, ქომაგის დამფუძნებელი მე გახლდით. ეს სრული სისულელე და აბსურდია, ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ როგორმე ჩემზე მოხდეს ზემოქმედება. არ გამიკვირდება და არ გაგიკვირდეთ, თუკი ჩემს სიკვდილსაც გაიგებთ.

გახსოვთ, ალბათ, ზურა ვაზაგაშვილს რაც უქნეს. ახლა ჯერი ჩემზეა და მთელი ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მანქანა მე მიპირისპირდება იმის გამო, რომ ცოტა დრო დარჩათ, რადგან ძალიან მალე დაიჭერენ. ამის გამო ხდება ჩემზე შეტევა“, — განაცხადა მეტრეველმა.

საფეხბურთო მოზაიკა

ხვალ, 15 საათზე 35-ე სკოლის საფეხბურთო სტადიონ „მარაკანაზე“ ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტის – „თბილისის მერიის სუპერთასის“ ფინალური მატჩი გაიმართება.

„თბილისის მერიის სუპერთასის“ მოსაპოვებლად ერთმანეთს თბილისის უმაღლესი ლიგისა და თბილისის მერიის თასის გამარჯვებული გუნდები – „სეუ“ და „ნახალოვკა“ დაუპირისპირდებიან.

გამარჯვებულ გუნდს ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით გადაეცემა თასი და სიმბოლური პრიზები.

დასწრება თავისუფალია.

პროექტის საინფორმაციო მხარდამჭერები არიან ტელეკომპანია „აჭარა“ და ტელეკომპანია „თრიალეთი“.

აგრეთვე ინტერნეტპორტალები „sportstar.ge“, „worldsport.ge“, „1news.ge“, „epn.ge“, „ავტორადიო“ და რადიო „ჯაკო“.



მოახლოებულ ელ კლასიკოს 34 წლის ხოსე მარია სანჩეს მარტინესი იმსაჯებს.

ახალგაზრდა არბიტრი გამორჩეულ ესპანურ დაპირისპირებას მეორედ გაუძღვება. მარტინესი 2017 წლის სუპერთასის განმეორებითი მატჩის მთავარი მსაჯი გახლდათ და ამ თამაშში „რეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე„ „ბარსელონა“ 2:0 დაამარცხა.

მარტინესი ლა ლიგაში 2015 წლიდან მსაჯობს, ხოლო 2017 წლიდან ფიფას კატეგორიის არბიტრია. მან მიმდინარე ლა ლიგაში 8-ჯერ იმსაჯა და აქედან ერთმა „რეალის“ მონაწილეობით ჩაიარა: „სამეფო კლუბმა“ შინ „ლას პალმასს“ სამი უპასუხო ბურთი გაუტანა.

შეგახსენებთ, რომ „რეალისა“ და ბარსელონას“ დუელი 23 დეკემბერს გაიმართება.

„მანჩესტერ სიტის“ მთავარი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა პრემიერლიგის რეკორდის ავტორი გახდა. ესპანელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ქალაქელებმა“ ზედიზედ 15 თამაში მოიგეს და ეს ინგლისის ჩემპიონატში მოგებათა ყველაზე ხანგრძლივი სერიაა. „სიტიმ“ „არსენალის“ მიღწევა (14 გამარჯვება) დაამხო.

აღსანიშნავია, რომ გვარდიოლა ზედიზედ მოგებული თამაშების რაოდენობით გერმანიისა და ესპანეთის ჩემპიონატების რეკორდსმენიცაა.

ბუნდესლიგაში გვარდიოლას „ბაიერნმა“ 2013-2014 წლების სეზონში მიჯრით 19 მატჩი მოიგო, ხოლო „ბარსელონამ“ ლა ლიგაში 2010-2011 წლების სეზონში 16 შეხვედრაში გაიმარჯვა.

გიორგი ზოთაძე



◎ **რაგბი ჩვენი თამაშია!**

მზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის

დღეს ბათუმის „რაგბი არენაზე“ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის“ ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში რუმინეთის ჩემპიონ „ტიმიშოარა-სარასენსს“ უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში „ბათუმი“ ფლეი ოფში თამაშს დაიბევებს.

ზღვისპირელები შემდეგ ეტაპზე გასვლასთან გასულ შაბათს ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ იტალიაში „ვიადანასთან“ 22-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს – 27:31. გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით გუგუშვილი ამას გამოუცდელობას, ტრავმებსა და სათადარიგოთა მოკლე სკამს უკავშირებს.

„ამ დონეზე თამაშის გამოცდილების ნაკლებობის შედეგად, იტალიაში მეორედ დავთმეთ მოგებული შეხვედრა. „კონტინენტის ფარი“ ჩვენთვის ახალი ტურნირია და რაც უფრო მეტი ქართული კლუბი მიიღებს მასში მონაწილეობას, ქართული საკლუბო რაგბი მით უფრო წინ წავა. სამწუხაროდ, „ვიადანასთან“ ჩატარებული ძალიან კარგი 50 წუთის შემდეგ დასკვნით ნახევარ საათში შეცდომები დავუშვით და უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. რომ არა ეს შეცდომები, იტალიიდან გამარჯვებული დავბრუნდებოდით და ფლეი-ოფის საგზურიც განაღდებული გვექნებოდა.

გარდა გამოუცდელობისა, წარმატების მიღწევაში ხელი შეგვიშალა მომრავლებულმა ტრავმებმა. ჩვენ არ გვყავს თანაბარძალოვანი შემადგენლობა, რის გამოც 23-კაციანი განაცხადის დაკომპლექტება და შეცვლების შემდეგ იგივე რითმის შენარჩუნება გვიჭირს“ – ამბობს გუგუშვილი.

მიუხედავად ამისა, „ბათუმი“ დასკვნითი ტურის წინ „ბ“ ჯგუფში პირველ ადგილს ინარჩუნებს და მდევრებს 1 („კალვიზანო“), 2 („პადოვა“) და 4 (ლისაბონის უნივერსიტეტი) უსწრებს. რადგან ფლეი ოფში ორი მოწინავე გადის, შემდეგი მატჩის ნებისმიერი სხვაობით მოგება ჯგუფური ბარიერის დაძლევის ტოლფასი იქნება. შანსი სხვა შემთხვევაშიც რჩება, ოღონდ ეს მეტოქეთა მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

„ტიმიშოარა-სარასენსი“ ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. მან სამივე განვლილი შეხვედრა მოიგო და ფლეი-ოფში გასვლაც დაბევებული აქვს, თუმცა, ის დასკვნითი მატჩის მოგებით ჯგუფში პირველი ადგილის შენარჩუნებას ეცდება. გუგუშვილი მომავალ შეხვედრაში შანსებს თანაბრად აფასებს:

„იტალიაშივე ვთქვით, რომ განვლილ შეხვედრას ვივიწყებთ და ვიწყებთ მზადებას რუმინელებთან მატჩისთვის. ვნახეთ „ტიმიშოარას“ მატჩების ვიდეოები და ის ამ ტურნირის უდავო ფავორიტია. სამწუხაროა, რომ მათთან უხერხული პოზიციიდან გვიწევს თამაში და ეს ჩვენზე წნეხს აძლიერებს, მაგრამ მათ საკუთარ მოედანზე ვხვდებით, სადაც ტრიბუნები სავსე იქნება და ბიჭებს მხარდაჭერა არ მოაკლდებათ. ვფიქრობ, ეს ფაქტორი ამ ურთულეს შეხვედრაში შანსებს ათანაბრებს. დღეს მაქსიმუმს გავიღებთ და მოედანს ნებისმიერ შემთხვევაში თავაწეული დავტოვებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს მონდომება შედეგის მომტანიც იქნება“.

სამწუხაროდ, „ბათუმი“ მომავალ შეხვედრას კვლავ ტრავმების ფონზე ხვდება, რადგან „ვიადანასთან“ მატჩის შემდეგ ტრავმირებული მოთამაშეების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა:

„შეკრებაზე შევედით და მომავალი თამაშისთვის ვემზადებით. სამწუხაროდ, თანაბარძალოვანი 23 კაცის მოძებნა ჩვენთვის კვლავ პრობლემად რჩება. გიორგი თედორაძე იტალიაშიც გვყავდა, მაგრამ ტრავმა ვერ მოიშუშა და ვერ ვათამაშეთ. შინ დაბრუნების შემდეგ მას ჩვენთან არ უვარჯიშია. განვლილ მატჩში დაშავდა ირაკლი კვანტიძე. მან მხრის ძვალი დაიზიანა და არა მხოლოდ ამ კვირაში, არამედ დიდი ხნით დაგვაკლდება. რუმინელებთან პირველხაზელის გამოკლება სამწუხარო ამბავია. სხვა მოთამაშეებსაც, განსაკუთრებით ხაზში მიკროტრავმები აწუხებთ. ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვართ და ვეცდებით, სასტარტო 15 და შეცვლები დავაბალანსოთ“.

„რაგბი არენაზე“ შეხვედრა დღეს 15 საათზე იწყება. ტურის სხვა მატჩებში „კალვიზანო“, „როვიგოს“ მასპინძლობს, „პეტრარკა“„ვიადანას“ მიიღებს, ხოლო ლისაბონის უნივერსიტეტი „ჰაიდელბერგს“ დაუხვდება. პორტუგალიაში მატჩს ქართველი მსაჯები გაუძღვებიან. რეფერი შოთა თევზაძეა, რომელსაც კიდეებიდან სულხან ჩიხლაძე და ონისე მოგელაშვილი დაეხმარებიან.

კოგა კოგახიძე

◎ **ლეგიონერი**

შერმადინი „უნიკახას“ 10 ქულით შეეწია

ბრძოლის ბედი ბოლო პერიოდმა გადაწყვიტა, რომელიც მასპინძლებმა რვაქულიანი უპირატესობით მოიგეს.

ესპანელთა სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა გიორგი შერმადინი, თუმცა, ქართველი ცენტრი ურიგოდ სულაც არ გარჯილა: ჩვენებურმა 13 წუთში საკუთარ გუნდს 10 ქულა, 2 მოხსნა და 2 შედეგიანი პასი შესძინა. გიორგიმ 5-დან 4 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო მოათავსა კალათში, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტმა 14 შეადგინა.

საკალათბურთო ევროლიგის მე-12 ტურში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მალაგას „უნიკახამ“ და ამით ოთხმატჩიანი წაგებების სერია დაასრულა. ანდალუზიელებმა საკუთარ მოედანზე რუსული „ხიმკი“ 93:84 დაამარცხეს.

„უნიკ
შემდეგ 4
და მხოლ
გელები მ
„ბარსელ

◎ **ინტერნეტიდან**

აიდამ პერუსთვის გაიხადა

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ არგენტინელ და ბრაზილიელ სიტყვის ქალებზე, რომლებმაც დანაქადნები შეასრულეს და მათი მშობლიური ქვეყნების საფეხბურთო ნაკრებების წარმატების შემდეგ ტიტლიკანებმა იპოზიორეს და ამით ჩვენი უბედური პლანეტის სრულიად სამამრეთს გულისა და სულის სათუთი სხივები შეურხიეს.

ახლა კიდევ ერთ ხელიხელსაგოგმანებ სიტყვის ქალზე, პერუელ მოდელ აიდა მარტინესზე უნდა გიამბოთ, რომელმაც აღასრულა პირობა, მრავალთა ოცნება და პერუს საფეხბურთო ნაკრების რუსეთის მუნდიალზე გასვლისთანავე აზღუდის შესაკრავს მოჰკიდა ხელი და არც ნიფხავ-პერანგის შემოძარცვა დაიწყნია.

აიდა მარტინესი როგორი თვალსაამო ვინმეცაა – ამას საკუთარი თვალითაც ხედავთ და თქვენ არ იცით, რაოდენ დიდი პერსპექტივები და მომავალი ეჭყანება ამ გოგოს. ლათინური ამერიკის კონტინენტზე სადაც კი ფოტოსტუდიაში ფოტოკამერა გაჩხაკუნდება, აიდაც იქაა დარჭობილი და საწმერთულის შემოძარცვას იწყებს. იცის თავისი საქმე ამ ქალმა!

როსტომ რაჭველიშვილი

„რა სარგებლობა მოაქვს მამალს?“

ეკონომისტი
რიმა ჭუმბურიძე

რეჟისორ ნანა მჭედლიძის გაუხუნარმა ფილმმა „იმერულმა ესკიზებმა“ დროის გამოცდას გაუძლო – მაყურებელი დღესაც დიდი ინტერესით და სიყვარულით უყურებს ამ არაჩვეულებრივ კინოფილმს.

ის პატარა სხარტი იმერელი გოგონა, რომელმაც საოცრად დასამახსოვრებელი სახე შექმნა, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც მაშინ ვმუშაობდი ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

მაყურებელს უთუოდ კარგად ახსოვს ერთი ეპიზოდი, საიდანაც აღებული ფრაზა „რა სარგებლობა მოაქვს მამალს?“ სიტყვამოსწრებულობის ისეთ სლოგანად იქცა, როგორც „გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავჯდომარე“ – ფილმიდან „რეკორდი.“

თუმცა მაყურებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ალბათ, არ იცის, ვინ ასრულებს მასწავლებლის როლს.

გახსოვთ უთუოდ, ხელის მტევნები ერთმანეთზე როგორ აქვს მიდებული და როგორ დაბიჯებს კლასში მასწავლებელი, ბავშვებს რომ ეკითხება:

– ბავშვებო, აბა, მითხარით, რა სარგებლობა მოაქვს ქათამს?

– ქათამი გვაძლევს კვერცხს?

– კიიდევ?

– ხორცს!

– კიიდევ?

– ბუნდღას!

– ყოჩაღ! – აქებს მასწავლებელი.

ბატის და კვატის შემდეგ ჯერი მამალზე მიდგა:

– აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის, რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

– მამალი გვაძლევს ხორცს... და ბუნდღას!

კიიდევ?.. აბა, ვინ არის ყოჩაღი და მეტყვის, კიდევ რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

კლასი დუმს, ვერავინ მოისაზრა, მამალი დილით ყივის და გვაღვიძებსო.

მერე პატარა ბიჭი გაუბედავად სწევს ხელს.

– აბა, შენ რას გვეტყვი, ბიჭო, მთელი წელიწადი რომ არ ამოგიღია ხმა? კიდევ რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

ქალბატონი რიმა
ჭუმბურიძე მეგობრებთან
ერთად. თბილისი, 1957 წ.

– ჩინჩლავს!– ამბობს ბიჭი იმას, რისთვისაც სინამდვილეში საჭიროა მამალი.

გაანჩხლებული მასწავლებელი ასეთი „უზრდელობისათვის“ სასტიკად ტუქსავს მოსწავლეს.

ვინ ასრულებს მასწავლებლის როლს?

ადამიანი, რომლის სახე სამუდამოდ შემორჩა ქართულ კინოს, არის ქუთაისელი, პროფესიით ეკონომისტი, ქალბატონი რიმა ჭუმბურიძე.

როგორ „მოხვდა“ ამ ფილმში?

რეჟისორ ნანა მჭედლიძეს, როცა დასავლეთ საქართველოში იღებდა ამ ფილმს, ხშირად უხდებოდა საბანკო ოპერაციების განხორციელება ქუთაისის სახელმწიფო ბანკში, სადაც ქალბატონი რიმა გუღალტერ-კონტროლიორად მუშაობდა.

ხანდაზმულ ასაკში ქალბატონმა რიმამ ორივე თვალზე გაიკეთა კატარაქტის ოპერაცია და რადგან მაშინ ხელოვნურ ბროლს თვალში ვერ დგამდნენ, საკმაოდ სქელმინიან სათვალეს ატარებდა.

კინორეჟისორმა თვალი დაადგა ქალბატონ რიმას და ფილმში მიიწვია, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. მხოლოდ დიდი ძალისხმევის შემდეგ დაითანხმა, სათვალე მოხსნა და შეასრულებინა მასწავლებლის როლი.

თუ მაყურებელი კარგად დაუკვირდება, შეამჩნევს, ქალბატონი ერთგვარად უხერხულადაც კი გრძნობს თავს უსათვალოდ.

ქალბატონი რიმა ჭუმბურიძე დაიბადა 1911 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 18 წლის ქალიშვილმა მუშაობა დაიწყო ქუთაისის სახელმწიფო ბანკში, სადაც დაჰყო სიცოცხლის ბოლომდე.

უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, რამდენიმე კურსიც კი დახურა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო დატოვა უმაღლესი სასწავლებელი.

1949 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბრძანებით მას მიენიჭა „საფინანსო სამსახურის პირველი რანგის მრჩევლის“ წოდება, რაც ქალბატონი რიმას პროფესიონალიზმის დიდი აღიარება იყო.

ქალბატონ რიმას სხვაგან არასდროს უმუშავნია, არც დაოჯახებულა და მთელი სიცოცხლე საბანკო საქმეს შეალია.

იყო კრისტალურად სპეტაკი ადამიანი, პრინციპული და საკმაოდ მკაცრიც,

პირადად მე რამდენჯერმე შევხვედრივარ მას. ამასთან, ქალბატონი რიმა იყო ჩემი მეგობრის, პროფესორ გურამ ვალიშვილის მეუღლის რუსუდან აბაშიძის ბებია და ამიტომ მე და გურამს ხშირად ერთად გვიხდებოდა მასთან მისვლა და საუბარი.

„იმერული ესკიზების“ შემდეგ ქალბატონ რიმას არაერთმა ქართველმა კინორეჟისორმა შესთავაზა როლი, მაგრამ ვერაფრით დაითანხმეს.

ქალბატონი რიმა ჭუმბურიძე გარდაიცვალა 1989 წელს.

ბენია თხილავა,
ქუთაისიდან

ნოველა

საათი

იმ ზაფხულს გაგრაში ვისვენებდი. მწვანეში ჩაფლულ სანატორიუმ „სკალადან“ ხელისგულივით მოჩანდა ლურჯად მოლივლივე ზღვა. ქალაქში ტევა არ იყო. აგვისტოს ხვატსა და ღმერთის საუფლოს ანდამატივით მიეზიდა დამსვენებელი.

ნასაუზმევს ქვის ვიწრო კიბით თავდაღმართზე დავეშვი და მალევე პლაჟზე ამოვყავი თავი.

– დაიგვიანეთ! – გაბადრული დამხვდნენ თბილისელი სტუდენტი გოგონები, რომლებსაც ზაფხულის სესიების შემდეგ ზღვაზე დასვენება გადაეწყვიტათ...

ძალიან ცხელოდა. წყლიდან ამოსულმა ქოლგას შევაფარე თავი. ჩემი ნაცნობებიც ჩრდილში ისხდნენ და ბანქოთი ერთობოდნენ. იქვე ახლოს ქვიშაზე წამოწოლილ ბიჭებს შევავლე თვალი – მალულად გოგონებისკენ აპარებდნენ მზერას.

– მეტი აღარ მინდა თამაში, სულ ვაგებ, – ღიმილი შემოგვაფრქვია ნათიამ.

– მაშინ, გავცუროთ. – შესთავაზა ნინიმ და ისიც წამოდგა.

ორივენი ტალღებს შეერივნენ.

ის იყო, შეზლონგზე წამოვწექი და თვალების მილულვას ვაპირებდი, ხალხი რომ შეჩოჩქოლდა.

– უშველეთ, ქალი იხრჩობა! – შეჰკივლა ვიღაცამ.

მაშინვე წამოვხტი. ბიჭებიც წამოფრინდნენ. ჰორიზონტს გახედეს და წყალში გადაეშვნენ. რამდენიმე წუთში ნაპირზე ნათია გამოიყვანეს. ნინი შიშისგან ცახცახებდა. ხალხი მათ შემოეხვია.

– ჰაერი მომეცით, თავზე ნუ დამადგებით, – იყვირა შუახნის ქალმა, რომელიც გულწასულს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა.

გოგონა გონს მალე მოეგო. თვალები გაახილა.

– ფეხი გამენასკვა და მერე არაფერი მახსოვს, – თავის მართლებასავით გამოუვიდა.

– ნუ გეშინია, შვილო, ვის არ მოსვლია, – დაამშვიდა ქალმა, რომელიც ექიმი ყოფილა. – ოღონდ ერთიორი დღე ზღვაში შესვლას მოერიდე.

– სულ არ ვიბანავებ, – წაილუღლუღა წამომჯდარმა და გაფითრებული ნინის მიეყრდნო, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო.

– ყოჩაღ, ბიჭებო! – მივუბრუნდი ყმაწვილებს, რომლებიც დამსვენებელთა შექებას უხმოდ ისმენდნენ.– რა გქვიათ?

– თარაში, – ჩემს ხელს ღონიერი მარჯვენა შეაგება უფრო ახლოს მდგომმა.

– მე ასტამური მქვია, აქაურები ვართ.

– სიცოცხლე იხსენით!

– სხვებიც ასე მოიქცეოდნენ, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა თარაშმა, ქვიშაზე დაგდებულ შარვალს დასწვდა, ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და მარჯვენა მაჯაზე დაიბნია.

– დრო ჩაინიშნე? – გაღიმება სცადა ნინიმ, რომელიც, ის იყო, მოგვიახლოვდა.

– სიკვდილს გადამარჩინეთ... – ჩხორია თვალები შეანათა ნათიამ მშველელთ. – დღეს მეორედ დავიბადე... თქვენ რომ არა, ჩემი მეთვრამეტე ზაფხული საგლოვად გაუხდებოდათ ჩემს მშობლებს....

– იუბილარი ხარ? – შევაწყვეტინე.

– დიახ, დღეს არის დაბადებული, – სიტყვა შეაწია მეგობარმა..

– აბა, გვიქეიფია, ორმაგი მიზეზი გვაქვს, – ახალგაზრდებს გადავხედე, – საღამოს ჭიქა ყავასა და შამპანურზე გეპატიჟებით...

– არა, რას ამბობთ, – დაიმორცხვა ნათიამ.

თარაშმა ისევ საათს დახედა.

– ბოდიში, ჩვენ უნდა წავიდეთ.

– ლამაზი საათი გიკეთია. – საუბრის გაგრძელება სცადა ნინიმ.

– ჰო, ნაჩუქარია, – თქვა და ნაბიჯი გადადგა.

– ხომ მოხვალთ? – ჩავეძიე მიმავალთ.

– აუცილებლად, – მეგობრის ნაცვლადაც ასტამურმა მიპასუხა და ორივენი სანაპიროს გაუყვნენ...

ერკემალივით ოქროსბეწვება მზე ზღვაში იძირებოდა, გოგონებს კაფესთან რომ შევხვდი. ბიჭები არ ჩანდნენ.

– ვითომ მოვლენ? – დაეჭვდა ნინი.

– აუცილებლად... – ამის თქმა და ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ. თარაშს ვარდების დიდი თაიგული ეჭირა.

– დაბადების დღეს გილოცავთ!

იუბილარს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. სიურპრიზი ესიამოვნა.

კაფეში შევედით. ქერათმიანმა ოფიციანტმა ყავა, ნამცხვარი და შამპანური მოგვართვა. ბოკალები შევავსე.

– ნათიას გაუმარჯოს!..

– ბუჩქი, ბუჩქი, – სადღეგრძელო არ დამამთავრებინეს.

სასმისები ჰაერში შევატყუპეთ.

– თარაშ, შენი საათი?!- მოულოდნლად ჰკითხა ნინიმ.

ყმაწვილი დაიბნა.

– შინ დამრჩა, – შევატყვე, რომ იცრუა.

– ვარდების შესაძენად ფული არ გვეყო და თარაშმა საათი გაყიდა.... – ჩამჩურჩულა ასტამურმა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ვაჟა დანელია

აშშ-ის კონგრესში ქართული ღვინის ყოველთვიური მიღება გაიმართა

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩომ საშობაოდ აშშ-ის კონგრესში ქართული ღვინის მიღებას უმასპინძლა. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა აშშ-ში დავით ბაქრაძემ და სტუმრებს დამდეგი დღესასწაულები მიულოცა.

ქართული ღვინის მიღებას ესწრებოდნენ აშშ-ის კონგრესის თანამშრომლები, ასევე საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული ქარტიის ხალხთაშორისი და კულტურული ურთიერთობების ჯგუფის დიალოგის ფარგლებში ვაშინგტონში ვიზიტად მყოფი საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის ხელმძღვანელობით. ღონისძიება ატლანტიკურ საბჭოსთან პარტნიორობით გაიმართა და ყოველთვიურ ღონისძიებად ჩამოყალიბდა.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მერი კოროშინაძის და ნანა ბარათაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი კოროშინაძე (პ/ნ 46001011921), ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ფარცხანა;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, მუხიანის დასახლება, მე-3 მ/რ, კორპუსი 10, ბინა №36 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.005.004.01.036).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ბარათაშვილი (პ/ნ 01027031330), თბილისი, მე-3 მასივი, ქუჩა „დ“, კორპუსი 6, ბინა №3.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, მე-3 მასივი, ქუჩა „დ“, კორპუსი 6, ბინა №3 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.022.020.01.003).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 5000 ლარი.

4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 28 დეკემბერი, 15:15 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

7. **მოვალე:** შპს „ზედაზენი იმერეთი“ (ს/ნ 404919870), წყალტუბოს რ-ნი, სოფელი ქვიტირი;
გიორგი ბარათაშვილი (პ/ნ 21001009407), თბილისი, ასათიანის 10ა, ბინა 19;
ნოდარ ფანჩულიძე (პ/ნ 21001000524), თერჯოლა, სოფელი ჩხარი.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 დეკემბრის, 15:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შალვა ლორთქიფანიძის, ნანული თათულაშვილის და ივეტა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შალვა ლორთქიფანიძე (პ/ნ 01026001148), თბილისი, ქვემო გომის ჩიხი №6;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: გარდაბანი, სოფელი თელეთი (საკადასტრო კოდი: 81.03.07.632).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შალვა ლორთქიფანიძე (პ/ნ 01026001148), თბილისი, ქვემო გომის ჩიხი №6;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. თბილისი, ტაბახმელა (საკადასტრო კოდი: 81.02.29.011).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანული თათულაშვილი (პ/ნ 12001064083), თბილისი, სოფელი ტაბახმელა;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, სოფელი ტაბახმელა (საკადასტრო კოდი: 81.02.03.537).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
4. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივეტა ფერაძე (პ/ნ 01036000554), თბილისი, მესამე მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუსი „ვ“, სართული 5, ბინა №13;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, მესამე მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუსი „ვ“, სართული 5, ბინა №13 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.028.031.01.013).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

5. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 263746,76 ლარი.

6. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

7. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 28 დეკემბერი, 15:00 საათი;

8. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **მოვალე:** შპს „პროფი პლიუსი“ (ს/ნ 426520482), გარდაბანი, სოფელი თელეთი;
შალვა ლორთქიფანიძე (პ/ნ 01026001148), თბილისი, ქვემო გომის ჩიხი №6;
კობა ასლამაზიშვილი (პ/ნ 12001076419), გარდაბანი, სოფელი თელეთი.
10. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

11. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 დეკემბრის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ინფორმაცია

2018 წლის 12 თებერვალს 12:00 საათზე, დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15 და 15:00 საათზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ქ. ხაშური ტაბიძის ქ.N2 გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა–ხარაგაული–მოლითი–ფონა ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მეორე ლოტის, მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის კმ24+620- კმ50+244 მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge**
- **დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა 15 (ბეჭვდური ვერსია).**
- **ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ქ. ხაშური ტაბიძის ქ. 2 (ბეჭვდური ვერსია).**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com და ბატონ გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

მის: ქ. ხაშური ტაბიძის ქ. N2

აქტიურად გრძელდება სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა

რეგიონული **განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი სამშენებლო პროექტების მონიტორინგს გურიის რეგიონში აგრძელებს. ზურაბ ალავიძემ სამტრედია-გრიგოლეთის გზის მე-2 ლოტის სამუშაოები დაათვალიერა.**

სამტრედია-გრიგოლეთის გზის 18.5-კილომეტრიანი მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა 254 მილიონ ლარს შეადგენს. სამუშაოებზე 400-მდე ადამიანია დასაქმებული.

სამტრედია-გრიგოლეთის მე-2 მონაკვეთის მშენებლობის პროექტი 18.5-კილომეტრიანი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, პარალელური სახიდე გადასასვლელის, 16 სახიდე გადასასვლელის, მათ შორის 3 სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი), წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებს. ამ დროისათვის, მონაკვეთზე გზის საფუძვლის მოწყობისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს. სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-2 მონაკვეთი გურიის რეგიონში ქ. ლანჩხუთსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ჯაპანას, ქვიანს, ნიგოითსა და ქვემო შუხუთს გაივლის.

ისევ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა!

შინაგან **საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული ზ.ბ., ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, მაკაროვის და ბრაუნინგის სისტემების 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 15 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

სასტუმრო „მეტეხის“ ეზოში სარემონტო სამუშაოების დროს მუშა დაიღუპა

თბილისის **მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ქეთევან წამებულის გამზირზე მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით სამშენებლო ობიექტს შეისწავლის.**

ქეთევან წამებულის გამზირზე, სასტუმრო „მეტეხის“ ეზოში სარემონტო სამუშაოების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ერთი მუშა გარდაიცვალა, ერთი კი მოტეხილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამშენებლო სამუშაოებს შ.პ.ს „დეკო“ აწარმოებს. წინასწარი ინფორმაციით, სატვირთო ამწე, რომელიც საქარგილე კოჭების გადაადგილებას ახორციელებდა, ამოყირავდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება და შესაბამისი სამსახურები შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს დაადგენენ.

ბათუმში საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულიდან 50 წლამდე ქალი გადმოვარდა

უბედური **შემთხვევა ბათუმში — საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულიდან 50 წლამდე ქალი გადმოვარდა. შემთხვევა პუშკინის ქუჩაზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალბატონი ფანჯარას კიბის საშუალებით ასუფთავებდა და კიბე დაუცურდა. ქალბატონი ადგილზე დაიღუპა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

სანთელი

ეველინა ხუციშვილი

18 დეკემბერი შენი დაბადების დღეა

ჩვენო საყვარელო ეველინა, ჩვენ, შენს მეგობრებსა და ახლობლებს, არ დაგვივიწყებია 18 დეკემბერი — შენი დაბადების დღე. ამ დღეს, რომელსაც ველარ შეესწარი, შენ 77 წლის გახდებოდი. გულითადად ვემზადებოდით კიდეც ამ საიუბილეო თარიღის საზეიმოდ აღნიშვნისათვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა, რომელიც თურმე ფეხდაფეხ გდევდა, ეს საზეიმო განწყობა გლოვის ცრემლებით შეგვიცვალა.

სამწუხაროა, დიდად სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენს შორის აღარა ხარ. არადა, როგორი სიცოცხლეწყურვილიანი იყავი. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში, არა მარტო შენს მშობლიურ სოფელ რუისპირში, მთელ რაიონში გამორჩეული, სიცოცხლით, ხალისითა და ენთუზიაზმით სავსე ულამაზესი გოგონა იყავი. გიყვარდა ლაზათიანად, თანამედროვედ ჩაცმა, ცოცხალ სასკოლო ღონისძიებებში ჩართვა-მონაწილეობა, რაშიც ტოლს არავის უდებდი.

ადამიანური სიკეთით მოყირჭებულმა სიყვარულიც აუწონავ-გაუზომავი იცოდი. ასეთი გაუზომავ-აუწონავი სიყვარულით შექმენი ოჯახი შენს რჩეულ ვაჟკაც ბიჭიკო წიკლაურთან ერთად. ასეთივე სიყვარულით აღზარდე შენი ერთადერთი ვაჟიშვილი ზაზა წიკლაური და შვილიშვილი მარიამი.

დაოჯახებულმა ქალბატონმა, ღირსეულმა მეუღლემ და დედამ მთელი შენი ადამიანური და სულიერი შესაძლებლობები უშურველად შეალიე შენთვის სათაყვანებელი დიდი ისტორიული წარსულისა და კულტურული ტრადიციების მქონე იყალთოს მერმისს — თვალხატულა გოგო-ბიჭების სულის ძერწვასა (ბევრმა შენმა აღზრდილმა გარდაცვლილი პედაგოგის ღვაწლი ცრემლით დაამშვენა) და ამავე სოფელივით კოპწია და თავანკარა პოეზიის შექმნას.

შენთვის, ჩვენო ძვირფასო ეველინა, იყალთო იყო და დარჩა იმ საფიცარ სოფლად, რომლითაც იწყებოდა მთელი სამყარო და საქართველო. ამის დასტურია შენი ლექსების კრებული „იყალთოს ცაო, ლურჯთვალავ...“, რომელშიც ძნელია რომელიმე პოეტური ქმნილება გამოარჩიო. ყველა იმათგანი ერთად აღებს მკითხველის გულს და დიდხანს რჩება მასთან. ვისაც ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი რუსთაველის ნატერფალ მიწაზე, შეუძლებელია, ეს სიყვარული მასაც არ შეეყაროს და არ გაითავისოს პოეტის ემოცია: „იყალთოს ცაო, ცაო კამკამა, ცაო ლურჯთვალა, ცაო კაშკაშა, მართლა ძალიან, მართლა ძალიან... მიყვარხარ ძლიერ“.

ლექსად ამღერებულ პედაგოგს მადლიერმა იყალთოელებმა სიყვარული სიყვარულითვე დაგიბრუნეს და თავიანთი ნორჩების ამაგდარი აღმზრდელი „შოთაობის“ საერთოსახალხო დღესასწაულზე საპატიო იყალთოელად აგირჩიეს.

ძვირფასო ეველინა, 18 დეკემბერს წელს პირველად უშენოდ შევიკრიბებით შენი ნათესავ-მეგობრები, თავს წავუქცევთ ჭიქა კახურ საფერავს და ვიტყვით: დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო უცაბედად გარდაცვლილო დაო და მეგობარო, მშვიდად იძინე მშობლიურ მიწაში, ღმერთს შევთხოვთ, შენმა სპეტაკმა სულმა ზეციურ საუფლოში იფრინოს სამარადჟამოდ.

ანზორ ჯაფარიძე,
რუსუდან ბერძენიშვილი, ეთერ სოთიროვი, თამარ კოლელიშვილი, თინა თანდილაშვილი, ქრისტინე ლომაშვილი და სხვა მეგობრები.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ასოციაციის საორგანიზაციო მდივანს, ქალბატონ ქეთევან გოგელიას გარდაეცვალა მეუღლე, შესანიშნავი მუსიკოსი და პედაგოგი, ქართული ინტელიგენციის ნათელი წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, კეთილშობილებითა და პატიოსნებით გამორჩეული თბილისელი მამულიშვილი

გიორგი (გოგა) ცაგარეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 16 XII, 14 სთ.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №20. სადარბაზო II, სართული VI.

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, აფხაზეთის ომის მონაწილე

ზაალ (ზაზა) რევაზის ძე სალუქვაძე

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექცია, სამეცნიერო საბჭო და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსვენება: 16 XII , 14 სთ. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან, ვაჟა-ფშაველას 32/ა (სამედიცინო ინსტიტუტის ეზო).

გურამ ბოკუჩავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზაზა (ზაალ) სალუქვაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ დღესასწაული

ბარბარობას გილოცავთ!

წმინდა დიდმოწამე ბარბარე

17 დეკემბერს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ბარბარობას დღესასწაულობს, ბარბარე გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისთვის.

წმინდა დიდმოწამე ბარბარეს გამორჩეულობა შესაძლოა, მის ღვთიურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს ეროვნულ ქართულ ხასიათთან.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ წმინდანი წარმართის ოჯახში დაიბადა. ის დედით ობოლი იყო, ამიტომაც მამამ გარეშე თვალთაგან მალულად აღზარდა. ქალწულს როდესაც გათხოვების დრო დაუდგა, მამამ იფიქრა, რადგან, გოგონა ეულად აღზრდამ გულჩათხრობილი გახადა, ახლა მე თავისუფლებას მივცემო... ამასობაში ალექსანდრიელმა ხუცესმა გოგონა მონათლა...

...გავიდა დრო, უსჯულოებმა ბარბარეს დასჯა გადაწყვიტეს. ბარბარეს წარმართმა მამამ, აბანოს აშენების დროს ბრძანა აბანოსთვის 2 სარკმელი გამოეჭრათ, ბარბარემ სთხოვა მესამე სარკმელიც დაემატებინათ: „სულიწმინდაც ანათებს დედამიწას“...

უსჯულოებმა კვლავ სცადეს ქალწულ ბარბარეს დასჯა. ქალწულმოწამე უფალს შეევედრა, რომ ყველა, ვინც კი მის მოწამეობრივ აღსასრულს მოიხსენიებდა, დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისაგან, და... ამ დროს ზეცით, უცებ ხმა მოესმა, რომ მისი ლოცვა უფალმა შეიწყნარა.

საგულისხმოა, რომ თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის (ზემო) ეკლესიაში დაცულია დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი, რომელიც 1983 წელს კიევიდან ჩამოაბრძანეს.

ცნობილია, რომ წმინდა დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილებს ბერძნული ეკლესია რამდენიმე საუკუნე დიდი კრძალულობით ინახავდა.

აღსანიშნავია, ისიც რომ 1108 წელს ბერძენი მეფის ასული ბარბარე ცოლად გაჰყვა კიევის მთავარს სვიატოპოლკს. მან კი თავისი ზეციური მფარველის წმინდა ნაწილები კიევში თან გაიყოლა, სადაც ისინი დღემდე ინახება.

ტაძრის საკურთხეველში დაცულ ამ სიწმინდეს ყოველი წლის 17 დეკემბერს გამოაბრძანებენ, რათა მორწმუნეთ შესაძლებლობა ჰქონდეთ ემთხვიონ და ეზიარონ მის მადლს!

ბარბარობას ვულოცავთ წმინდა ბარბარეს სახელობის ყველა ტაძრის მრევლს და წმინდანის მოსახელეთ!

გიული ლიპარტია

„ამერიმერის“ საიუბილეო საღამო

20 დეკემბერს, 15 საათზე, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში განთავსებულ სახალხო თეატრ „მოდი-ნახეს“ დარბაზში გაიმართება ლიტერატურული ჟურნალ „ამერიმერის“ საიუბილეო საღამო!

დასწრება თავისუფალია!

ვისაც ლიტერატურა უყვარს, ან კალამს ეტანება, ვთხოვთ, მობრძანდნენ საღამოზე! საჩუქარიც გვაქვს — საგულდაგულოდ გადანახული გასული წლის ნომრები!

სიკეთის მთესველი

ღიმილის კაცი

სამოცდაათწლიან იუბილეს გილოცავთ, ჩვენო ოტია! ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაციაო, სწორედ ოტია სარჩიმელიაზე ითქმის, რამეთუ ძნელია იპოვო სხვა პიროვნება, ვისაც მასავით შეუძლია მოყვასისადმი სიყვარულის გამოჩენა, ძმობა-ერთგულება, მოფერება და მხარში დგომა ჭირსა თუ ლხინში. მუდამ მომღიმარი სახე მისი სავიზიტო ბარათია, სწორედ ამითაა ყველასგან გამორჩეული.

შენებრი კაცისთვის 70 წელი არც ისე ბევრია. თამამად შეგიძლია იამაყო განვლილი წლებით, რამეთუ სადაც გიცხოვრია და გიმოღვაწია, იმდენი სიკეთე გითესია, კიდევ დიდხანს, დიდხანს უნდა იარო მშობელ მიწაზე, იარო ამაყად თავაწეულმა, მართალი თვალებით პირდაპირ უცქირო ადამიანებს, სიყვარულში გალეული ათწლეულები გაძლევენ ამის უფლებას.

კიდევ დიდხანს ჯანის სიმრთელეს და ბედნიერებას გისურვებთ, ბატონო ოტია. დღეგრძელი იყავ, რათა სიკეთის მაქსიმუმი ხარჯო შენს საძმოში, კეთილ მეგობრებში, ახლობლებში, რაც შეიძლება მეტი მადლიანი ღიმილი აფრქვიო ადამიანებს, გადასდო იგი ყველას, ვინც ამას იმსახურებს.

ღვთის მადლი გფარავდეს.

ძმური სიყვარულით,
მხედარ ჩაჩავა,
ვახტანგ ჯოხაძე, ბადრი ბარკალაია

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

ტკბილად რომ გეძინოთ

მოკვლევების შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე ცუდად ადამიანს შემოდგომაზე სძინავს. მედიკოსები რამდენიმე რჩევას იძლევიან, რომელთა შესრულება დაძინებასა და ტკბილ ძილში დაგეხმარებათ.

— დაძინება და ლოგინიდან ადგომა ერთსა და იმავე დროსაა საჭირო;

— დაძინებამდე ნახევარი საათით ადრე გამორთეთ ტელევიზორიც და ტელეფონიც;

— ყველაზე კომფორტულია საშუალო სიმაგრის ბალიში;

— ძილის წინ მოსადუნებლად 10-15 წუთის განმავლობაში შეგიძლიათ აბაზანაში ჩაწოლა;

— გასაღვიძებლად უმჯობესია გამოიყენოთ ჩვეულებრივი მაღვიძარა და არა მობილური ტელეფონი. უკეთესი იქნება, თუკი მას ისე დადგამთ, რომ დროს ვერ ხედავდეთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ იმაზე არ იფიქროთ, თუ რამდენ ხანში მოგიწევთ ადგომა;

— საძინებელ ოთახში სრული სიბნელე უნდა იყოს;

— ძილის წინ ოთახი გაანიავეთ, ოპტიმალური ტემპერატურაა ცელსიუსის 18-20 გრადუსი;

— ლოგინში დაწოლილმა ღრმად და მშვიდად ისუნთქეთ;

— გაღვიძების შემდეგ დალიეთ ერთი ჭიქა წყალი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5597; ევრო - 3.0256;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4395;
100 რუბლი - 4.3642; თურქული ლირა - 0.6679;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5061;
1000 სომხური დრამი - 5.2941.

ამინდი 16 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge